2010 წელი, 9-15 დეკემბერი
ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№38 (512) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

შემოდგომა. თენგიზ მირზაშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში პრეზიდენტის გაყალბებული არჩევნები
გვერდი 3

ინფორმაცია

„...და გაზაფხული მაინც მოვა“
გვერდი 4

სახელმძღვანელოები

X კლასის ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს განხილვა
გვერდი 5

საბჭოთა განათლების სისტემა აფხაზეთში
გვერდი 7

მკითხველთა საყურადღებოდ!

1 დეკემბრიდან „ახალი განათლების“ შეძენა შესაძლებელია „უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის გავრცელების ჯიხურებში, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

„ახალი განათლების“ ხელმოწერის მსურველებმა 2011 წლის ხელმოწერის თანხა ერთი წლით - 40 ლარი უნდა გადმორიცხონ ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202 058 735; ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000

სიახლე!

გაზეთი „ახალი განათლება“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გთავაზობთ „უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის გავრცელების ჯიხურებში

გაზეთ „ახალ განათლებასთან“ ერთად

დათო ტურაშვილის ახალ რომანს „ამერიკული ზღაპრები“ ექსკლუზიურ ფასად

„ამერიკული ზღაპრები“ დათო ტურაშვილის მეთორმეტე წიგნია, რომელიც იმ შორეული ქვეყნის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მან ასი დღე გაატარა საერთაშორისო ლიტერატურული პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ერთი შეხედვით დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, მასში ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება რეალობა და იწყება გამონაგონი, ამიტომ „ამერიკული ზღაპრები“ ერთდროულად მცირე რომანიცაა და ზღაპარივით მოყოლილი ისტორიაც, რადგან, ავტორის თქმით, ამერიკაში ზღაპარსა და რეალობას შორის ზღვარი თითქმის არ არსებობს.

ინფორმაცია

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მთავარი თემა იყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მათი მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები და განათლების ექსპერტები.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწავლების ამ ეტაპზე საფუძველი ეყრება მოსწავლეებში ისეთი ძირითადი უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: წიგნიერება, ეკოლოგიური ცნობიერება, ელემენტარული მათემატიკური უნარები და ა.შ.

კონფერენციის ფარგლებში, გაიმართა „მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევის“ პრეზენტაცია, რომელშიც თავმოყრილია ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების თანამედროვე მეთოდები.

მოეწყო ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმის „კითხვის ეფექტური მეთოდების“ ჩვენებაც. ფილმის მიზანია, ხელი შეუწყოს წიგნიერებაზე ორიენტირებული საკლასო გარემოსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას. მასალა მოიცავს კითხვის სწავლების მრავალგზის აპრობირებულ მეთოდებს. სასწავლო ფილმს თან ახლავს გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია რეკომენდაციები წარმოდგენილი მეთოდების სასწავლო პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვისთვის.

კონფერენციის მონაწილე მასწავლებლები გაეცნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ახალ სტანდარტსაც, რომელშიც მოქმედ მასწავლებლებთან და განათლების ექსპერტებთან თანამშრომლობით, შევიდა გარკვეული სახის ცვლილებები, დაკონკრეტდა საკითხები.

◆◆◆

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ახალ ფაზაში შედის. შესაბამისად, მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ ერთობლივი სამეცნიერო პროექტების შემუშავების საკითხებში.

ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ამერიკის თავდაცვის მდივნის თანაშემწე ბირთვულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თავდაცვით პროგრამებში **ანდრიუ ვებერი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს **დიმიტრი შაშკინს** შეხვდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში არსებული უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (CRL) ეფექტურად გამოყენების საკითხები.

ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც ამერიკის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, ერთადერთია ამიერკავკასიაში. ლაბორატორია ინფექციური დაავადებების აღმოჩენას, ეპიდემიოლოგიურ დაკვირვებასა და სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარებას უზრუნველყოფს. მას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართული შეხვედრის მთავარი მიზანი ცენტრალური ლაბორატორიისათვის (CRL) საგანმანათლებლო ფუნქციის მინიჭება იყო. მომავალში ლაბორატორია მჭიდროდ ითანამშრომლებს უნივერსიტეტებთან, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები.

ანდრიუ ვებერი დაინტერესდა იმ პროგრამებითაც, რომელსაც სამინისტრო მეცნიერთა ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით ახორციელებს. მან განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა მზად არის მომავალშიც ითანამშრომლოს ჩვენს ქვეყანასთან, რათა დახმარება აღმოუჩინოს მას საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელების პროცესში.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ პირებთან და სახელმწიფო და საერთაშორისო ორ-

განიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო.

კონფერენციაზე განხილული იქნა ის მიმდინარე პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც საქართველოს „შეზღუდული შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად ხორციელდება, ასევე გაიმართა საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისა და უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდაზე ორიენტირებული პროგრამების პრეზენტაცია. კონფერენციის ფარგლებში, მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ წარმოდგენილი ფოტო, ვიდეო და სხვა მასალების გამოფენა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციას საჯარო სკოლებში 2004 წლიდან ახორციელებს. სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია – ყველა მოსწავლეს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს სასწავლო პროცესში, რაც გამოიხატება საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელებაში, თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვასა და სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტირებაში.

კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაიმართა და მისი ორგანიზატორი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

◆◆◆

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, თბილისის 31-ე საჯარო სკოლის ინიციატივით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატ-

რში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის პიანისტმა **ვალერიან შიუკაშვილმა** კონცერტი გამართა. კონცერტზე მოწვეულ 100 ბავშვს სპეციალური საჩუქრები „ავერსისა“ და „ბარამბოს“ წარმომადგენლებმა გადასცეს. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** დაესწრო.

კონცერტზე ვალერიან შიუკაშვილი და ანსამბლი „გოგოჭურები“, ხალხური და კლასიკური მუსიკის სინთეზით წარსდგნენ, შესრულდა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

მონაწილეობდნენ პატარა მუსიკოსებიც: ბავშვთა ანსამბლი „პატარა გეორგიკა“, „ბავშვთა კაპელა“, ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტები: **ლილე ლექვინაძე** და **ილია შერმადინი**.

კონცერტისა და 3 დეკემბრის აქციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 31-ე საჯარო სკოლის დირექტორი **მარინა ნიჟარაძე**, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, მაჟორიტარი დეპუტატები – **ანდრო ალავიძე** და **ალეკო ნიკოლაიშვილი**.

◆◆◆

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ავლაბრის რეზიდენციაში პირადად უმასპინძლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 40-მდე ბავშვს, რომელთა შორის 21 მოზარდი აფხაზეთიდან დევნილია.

ბავშვებმა დაათვალიერეს საქართველოს პრეზიდენტის სასახლე და მუზეუმი. მიხეილ სააკაშვილი გაესაუბრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს, გაამხნევა ისინი და წარმატებები უსურვა, რის შემდეგაც, პრეზიდენტმა მათ სამახსოვრო საჩუქრები და ტკბილეულობა გადასცა, ბავშვებმა კი, თავის მხრივ, ხელნაკეთი ნივთები უსახსოვრეს.

„აქ ძალიან ხშირად ვხვდები სხვადასხვა ასაკის ბავშვებს. მინდა გესმოდეთ, რომ ეს არც ვიღაცის კერძო სახლია და არც მხოლოდ პრეზიდენტის სასახლე – ეს არის ყველა თქვენგანის სახლი და ყველა თქვენგანის სასახლე. ეს სწორედ ის არის, რაც

ეკუთვნის საქართველოს, სადაც ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ბედი. ამას თქვენი მასწავლებლები და ახლობლებიც გეუბნებიან, მაგრამ მინდა მეც გითხრათ: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაიმე სახის ფიზიკური პრობლემა არ არის შემაფერხებელი იმისთვის, რომ ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიო. პირიქით, ბევრი ნიჭიერი ადამიანი სწორედ იმის გამო გახდა წარმატებული, რომ გარკვეული პრობლემები შეხვდა ცხოვრების გზაზე. ჩვენი ქვეყანაც ასეთია – ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს და მსოფლიო „ავადმყოფობებმა“ მართლაც ძალზე შეავიწროვა, მაგრამ, ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ რაც უფრო მეტი პრობლემები გაგვიჩნდა, მით უფრო გავძლიერდით. ამით უფრო მაგარი ქვეყანა გავხდებით და მით უფრო მეტად დავუმტკიცებთ ყველას, რომ ყველა დაბრკოლების გადალახვა შეგვიძლია. მინდა, თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს, რომ ეს მართლა ასეა. თქვენ შეიძლება ბევრად მეტს მიაღწიოთ, ვიდრე იმ ადამიანმა, ვისაც საერთოდ არანაირი პრობლემა არ აქვს ცხოვრებაში. ერთი რამ იცოდეთ, რომ მიუღწეველი და გაუკეთებელი ამ ქვეყნად, პრაქტიკულად, არაფერია,“ – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მოზარდებთან საუბრისას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღონისძიება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ამერიკის მეგობართა კლუბის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნეირების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლომდებარე სოფლების პედაგოგებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გამართულ ტრენინგს დაესწრო.

4-5 დეკემბერს ტრენინგები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ანაკლიის, განმუხურის, შამგონის, რიყის, ნაჭარმაგევის, რუხის, მეღვრეკისის, კარალეთის, ტყვიავის, ნიქოზის, ტირძნისის, ორსანტიის, კოკის და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სხვა სოფლების სკოლების პედაგოგებისთვის გაიმართა.

ტრენინგის თემები იყო: ისტ-ის როლი და შესაძლებლობები სასწავლო პროცესში; ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტის მომზადება და განხორციელება. მასწავლებლები გაეცნენ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც მათ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარებათ; მათთვის წარმოდგენილი იყო სასწავლო ფილმები და ვიდეოგაკვეთილები.

პედაგოგთა გადამზადება გასული თვიდან დაიწყო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერებმა ტრენინგები ჩაატარეს ნიქოზში, ტყვიავსა და ტირძნისში. მიმდინარე ტრენინგი ისტ-ში მასწავლებელთა გადამზადების დასკვნითი ეტაპია. გადამზადების შემდეგ, პედაგოგები თავიანთ სკოლებში ჩაატარებენ სემინარებს კოლეგებისთვის და დაეხმარებიან მათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისებაში.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“ უახლოეს მომავალში გეგმავს 2011-2016 სასწავლო წლების სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების კონკურსის გამოცხადებას.

კონკურსის გამოცხადების შესაბამისი ნორმატიული მასალა განთავსდება როგორც „საკანონმდებლო მაცნეში“, ასევე ცენტრის ვებგვერდზე.
ამ ეტაპზე ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა 2011-2016 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმის I-VI კლასების საგნობრივი სტანდარტები, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას საკონკურსოდ წარმოსადგენი სახელმძღვანელოები.
აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ ცენტრი აცხადებს კონსულტაციის დღეებს ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის.
კონსულტაციები გაიმართება 24 ნოემბრიდან 15 თებერვლის ჩათვლით.
კონკურსი გამოცხადდება I-VI კლასების თითოეული საგნის სახელმძღვანელოებზე შემდეგ საგნებსა და კლასებში:

ქართული ენა და ლიტერატურა
ოთხშაბათი, 11-12 სთ (I-VI კლასი)

ქართული, როგორც მეორე ენა
ორშაბათი, 11-12 სთ (I-VI კლასი)

მათემატიკა
ოთხშაბათი, 10-11 სთ (I-VI კლასი)

ჩვენი საქართველო
ორშაბათი, 11-12/სთ (V-VI კლასი)

ბუნებისმეტყველება
სამშაბათი, 17-18 სთ (I-VI კლასი)

უცხოური ენები დ01-დIV

ინგლისური ენა
ხუთშაბათი, 11-12 სთ (დ1-დ6)

ფრანგული ენა (პროგრამის შინაარსი)
სამშაბათი, 11-12 სთ (I-VI კლასი)

გერმანული ენა (პროგრამის შინაარსი)
პარასკევი, 14-15 სთ (I-VI კლასი)

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ორშაბათი, 12-13სთ
(I კლასი, მასწავლებლის წიგნი; V-VI კლასები)

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება
ოთხშაბათი, 14-15 სთ (IV კლასი)

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
ოთხშაბათი 11-12 სთ (I-VI კლასი)

მუსიკა
ხუთშაბათი, 12-13 სთ (I-VI კლასი)

სპორტი (მასწავლებლის წიგნი)
ორშაბათი 12-13 სთ (I-VI კლასი)

ქართული ცეკვა
(ვებგვერდზე განთავსდება უახლოეს მომავალში)
ხუთშაბათი, 12-13 სთ
(მასწავლებლის წიგნი, IV კლასი)

კონსულტაციები გაიმართება როგორც აღნიშნულ საგნობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით, ასევე იურიდიულ საკითხებზე.
იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება 2011 წლის 24 იანვრიდან 1 მარტის ჩათვლით.
მისამართი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52.
კონსულტაციაზე დასწრების დღეები, გთხოვთ, წინასწარ შეათანხმოთ ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის სამმართველოს სასწავლო მასალების ადმინისტრატორთან მარიამ ბერძენიშვილთან

ტელ.: 822 47 50 15
ელფოსტა: mberdzenishvili@ganatleba.org

პარასკევს, 17 დეკემბერს, 14 საათზე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდება ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია

მისი სახელწოდებაა „პირველი ონლაინ პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა)“.

კურსი 12-დღიანია, შედგება 6 ინტერაქტიური და 6 ინდივიდუალური სამუშაო დღისგან. მასში გამოყენებულია: ელგუჯა ხინთიბიძის, ირმა რატიანის, თემურ დოიაშვილის, შუქია აფრიდონიძის, ავთანდილ არაგულისა და სხვა ცნობილ პროფესორთა საგანგებოდ ამ პროგრამისათვის ჩაწერილი მინი-ვიდეოლექციები ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ასევე მეთოდური აუდიოლექციები და მრავალფეროვანი საილუსტრაციო ციფრული მასალა.

პროგრამის მიზანია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებით სწავლების დონის გაუმჯობესება და სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მათი მომზადება.

პროგრამის დირექტორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ირმა რატიანი, ავტორები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნინიძე და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ქეთევან ნინიძე. კურსს უძღვებიან გამოცდილი მეცნიერები და პედაგოგები: მაია ჯალიაშვილი, ლია კარიჭაშვილი, საბა მეტრეველი, ეკა ჩიკვაიძე, ნანა მრევლიშვილი და ადა ნემსაძე.

კურსის შინაარსში შედის თეორიული და მეთოდური საკითხები და ქართული ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპი – ძველიდან უახლესის ჩათვლით. მის მსვლელობაში მასწავლებლები გაიმდიდრებენ ცოდნას საინფორმაციო ტექნოლოგიებში, გაეცნობიან აქტივობათა მრავალფეროვან სახეებს და გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვის გზებს, იმუშავებენ სასერტიფიკაციო გამოცდების მსგავს ტესტებზე და კურსის ბოლოს გაივლიან იმიტირებულ ოთხმოცძულიან ტესტირებას.

პროგრამა განკუთვნილია თბილისისა და ყველა იმ რეგიონის პედაგოგებისათვის, სადაც არის ინტერნეტის წვდომა. იგი მომზადებულია ელექტრონული სწავლების საერთაშორისო ორგანიზაცია INWENT-ის ხელშეწყობით.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში პრეზიდენტის გაყალბებული არჩევნები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო ყრილობაზე განვითარებული პროცესები, თავისი არაორდინარული შედეგით, დღემდე რჩება ორგანიზაციის წევრთა საკამათო თემად. არაორდინარული იმიტომ, რომ მივიღეთ, ერთი მხრივ, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, ბატონ ირაკლი პეტრიაშვილის მიერ შერჩეული და ორგანიზაციისათვის იძულებით თავს მოხვეული პრეზიდენტი – ქალბატონი მაია კობახიძე, რომელსაც დღემდე ვერ მოუხერხებია ვერც წევრებთან და ვერც ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში ურთიერთობა და, მეორე მხრივ, სპმთპ-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა 2/3-ზე მეტის მხრიდან არჩეული პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლი – ეკა ჩერქეზიშვილი.

ვიდრე სასამართლო მტყუან-მართალს გაარკვევს, საჭიროდ მივიჩნიეთ, საზოგადოებას სცოდნოდა, თუ რა მოხდა ყრილობაზე. სპმთპ-ს 30 ოქტომბრის ყრილობა პროტესტის ნიშნად დელეგატების უდიდესმა ნაწილმა დატოვა. დაცარიელებულ დარბაზში, სადაც დარჩენილ დელეგატებს სიმრავლით პროფკავშირების გაერთიანებიდან „მოწვეული სტუმრები“ სჭარბობდნენ, კვორუმის არარსებობის პირობებში, სპმთპ-ს პრეზიდენტად „აირჩიეს“ ქალბატონი მაია კობახიძე.

სამწუხაროა, რომ ყრილობის თავმჯდომარემ – ბატონმა ალექსანდრე ბერიძემ, წინასწარ განსაზღვრული ხმათა რაოდენობა ისე სწრაფად გამოაცხადა, დაავიწყდა, ხმის დამთვლელ კომისიას ფორმალურად მაინც რომ უნდა მოეხდინა ხმების დათვლა.

ქალბატონი მაია კობახიძე პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი აღმოჩნდა, ვინაიდან ბატონ ირაკლი პეტრიაშვილის ნების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა ყრილობის საპროცედურო კომისიამ. გამოგონილი და აბსურდული მიზეზით საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი ეთქვა ქალბატონ მანანა კობახიძეს, რომელსაც მხარს უჭერდა, და მოცემულ სიტუაციაში ერთადერთ უალტერნატივო კანდიდატად მიიჩნევდა, დელეგატთა აბსოლუტური უმრავლესობა. ეჭვგარეშეა, პედაგოგთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლიდერისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული უნარებით რომ უნდა გამოირჩეოდეს, რაც ნაკლებად შესამჩნევი აღმოჩნდა როგორც ქალბატონ მაიას დელეგატებთან წინასაპრეზიდენტო შეხვედრებზე, ასევე ყრილობაზე მისი სიტყვით გამოსვლისას. მან ვერ შეძლო საკუთარი სამოქმედო პროგრამის ჯეროვნად წარმოჩენა, ვერ მოახერხა დელეგატთა დარწმუნება იმაში, რომ ხელმძღვანელად მისი არჩევის შემთხვევაში, ორგანიზაცია თავს დააღწევდა შექმნილ ურთულეს ვითარებას და უფრო მეტად შეძლებდა განვითარებას. გარდა აღნიშნულისა, დელეგატების მხრიდან დარბაზის დატოვების სხვა სერიოზული მიზეზიც არსებობდა. ყრილობის დღესაც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ პროფკავშირების გაერთიანების მესვეურნი. ცხადი იყო, მათ მოვალეობაში შედიოდა ყრილობის დღეს „წესრიგის დამყარებაც“. ჩვენი ეჭვი არჩევნების შედეგების გაყალბების თაობაზე გააძლიერა ყრილობის დაწყებისთანავე ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ყრილობის სხდომა ჟურნალისტებისათვის დახურული იქნებოდა. შექმნილი ვითარების პროტესტის ნიშნად დავტოვეთ დარბაზი. როგორც აღმოჩნდა, ყრილობაზე დამსწრე 203 დელეგატიდან დარბაზი დატოვა 124-მა დელეგატმა.

ქალბატონი მაია არალეგიტიმურ პრეზიდენტად აღიარა და ბოიკოტი გამოუცხადა სპმთპ-ს აღმასრულებელი საბჭოს 2/3-ზე მეტმა, რაც ოფიციალურად დადასტურდა 30 ოქტომბერს და 19 ნოემბერს ჩატარებულ აღმასრულებელი საბჭოს სხდომებზე. ყრილობებს შორის პერიოდში მმართველობის უმაღლესი ორგანოს მიღმა აღმოჩენილი პრეზიდენტი, ფაქტობრივად, კანონგარეშე და ფუნქციადაკარგულია, წესდებიდან გამომდინარე, მას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნია! გონივრული გამოსავალი, რაც ორგანიზაციას სასიკეთოდ წაადგება, ქალბატონი მაიას გადადგომა და ახალი არჩევნების ჩატარებაა. მანამდე კი, ორგანიზაციაში შექმნილ ურთულეს ვითარებასა და კრიზისიდან გამოსვლის გზებზე იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო სპმთპ-ს აღმასრულებელმა საბჭომ. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, სასამართლოში გასაჩივრდა 30 ოქტომბრის მე-6 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის არჩევნების შედეგები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის თაობაზე. გათვალისწინებულია საარჩევნო დებულებასა და ორგანიზაციის წესდებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა – საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის შესატყვისი წესდების მიღება, რომელშიც აღარ იქნება დაკანონებული ორგანიზაციის მართვა ავტორიტარული მეთოდებით ისე, როგორც ეს მოქმედი წესდებითაა შესაძლებელი.

ამავე აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო დადგენილება პროცედურული დარღვევებით და უმცირესობით არჩეული პრეზიდენტისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ.

სპმთპ-ს უმრავლესობის სახელით,
აღმასრულებელი საბჭო

„...და მაზაფხული მაინც მოვა“

თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – დავით ლაგვილავა) დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ამავე სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი რუსუდან მარკოზია იყო. ლიტერატურულ ღონისძიებაში 51-ე საჯარო სკოლის X-XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. როგორც ქალბატონმა რუსუდანმა გვითხრა, მოსწავლეები დიდი ინტერესით ემზადებოდნენ ამ დღისთვის, გაეცნენ და მოიძიეს მასალები, ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციებს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რუსუდან მარკოზია, 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი: გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების მოსწავლეებისათვის გაცნობა სკოლის უმთავრესი ამოცანაა, რადგან ბავშვები ჩვენი საამაყო შვილების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ. *„ვინცა სამშობლოს უყო კეთილი ჩვენი მამაცა სწორედ ის არი.“* – ასე ჰქვია ლიტერატურულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობენ 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მკითხველები და რომელიც ეძღვნება ერის სასიქადულო მამულიშვილს, პუბლიცისტს, ლიტერატორს, მთარგმნელს, საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს. ბავშვებთან ერთად უამრავი მასალა მოვიძიეთ ამ დიდებული ადამიანის შესახებ. ბედნიერი ვარ, რომ ლიტერატურული საღამოთი მეც შევიტანე პატარა წვლილი მისი ცხოვრების წარმოჩინებაში. მადლობას ვუხდი ჩვენი სკოლის დირექტორს, ბატონ **დავით ლაგვილავას** თანადგომისთვის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **მაკა ხარებავას,** სკოლის დირექციას – **მანანა თურქაძეს**, **მერი ალბორიშვილს**. ვფიქრობ, ლიტერატურულ საღამოზე მიღებული შთაბეჭდილება დიდხანს გაჰყვებათ ბავშვებს და არასოდეს დაავიწყდებათ დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და ამაგი.

ღონისძიების მონაწილეებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ, წაიკითხეს ბიოგრაფიული ცნობები და მოგონებები მასზე. მოსწავლეებმა თანატოლებსა და პედაგოგებს კიდევ ერთი დაუვიწყარი ლიტერატურული საღამო აჩუქეს.

მაგდა ლორია: ღონისძიების მზადების პროცესში დიმიტრი ყიფიანის შესახებ ძალიან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი შევიტყვე. ის იყო უდიდესი ნებისყოფის ადამიანი. თავისი გმირული საქციელით ძალიან ბევრი რამ შესძინა საქართველოს, დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ღონისძიებისთვის მზადება ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა. მასალების მოპოვებაში ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარი, ქალბატონი რუსუდან მარკოზია დაგვეხმარა.

სოფო გოდერძიშვილი: მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა ძალიან დიდ გამოცდილებას გვაძლევს, უფრო მეტს ვიგებთ ამა თუ იმ პიროვნების შესახებ. ვამაყობ, რომ ასეთი მამულიშვილი გვყავდა. დიმიტრი ყიფიანის შესახებ, რა თქმა უნდა, უფრო მეტი გავიგე, ვიდრე აქამდე ვიცოდი, ახლოს გავეცანი მის ბიოგრაფიას და შემოქმედებას.

გიორგი სოფრომაძე: მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ამ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა. მზადების პროცესი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ვეცნობით უამრავ ინფორმაციას ამა თუ იმ ადამიანის შესახებ. ასევე საინტერესოა ჩემი თანატოლების აზრი და მათთან მუშაობა. შესაბამისად, მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება გარკვეულ გამოცდილებას და განათლებას მძენს. რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანს, ის ილიასამებრ უფლებამოსილია, თქვას: *„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“*. ამით ყველაფერი ნათქვამია.

თეონა ჭავჭავაძე: ვფიქრობ, ჩანაფიქრმა გაამართლა, შევძელით თანატოლებისთვის გადაგვეცა ჩვენ მიერ მოპოვებული საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაცია... ეს არის მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის აღორძინებაში, ქართველი ერის გაერთიანებაში... მას სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინება მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების გამთლიანების და განმტკიცების საფუძვლად. იგი, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქვეყანაში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის. მან დიდი ამაგი დასდო თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. *„სულ დიმიტრი ყიფიანის სიმხნევით, მისი სისხლითა და ოფლით არიან დაარსებულნი, ფეხმოდებულნი და წელში გამართულნი“* – აღნიშნავდა დიმიტრი ყიფიანის ერთ-ერთი ბიოგრაფი ვალერიან გუნია.

მერაბ ბოგვერაძე: ალბათ ერთეული ადამიანების ხვედრია თანამემამულეთაგან ისეთი სრულყოფილი დახასიათება, როგორც დიმიტრი ყიფიანს ახასიათებენ: *„სადაც საჭირო იყო მას სასჯელი და სიკვდილი ვერ შეაშინებდა, რომ სათანადო პასუხი არ გაეცა, არ შეეძლო“*. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: *„დიმიტრი ყიფიანი ერთი ისევი გამბედავ და თავგამოდებულ ქართველთაგანი იყო ჩვენში, რომლის მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იზრდებიან, გამბედაობაში მას ტოლი არ ჰყავდა“*. *„დიმიტრი ყიფიანი შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა. მაღალი შუბლი, ფართო, ცნობისმოყვარე, ელვარე თვალები, ღაჟღაჟა ლოყები მის სახეს უაღრესად შთამაგონებელ იერს ანიჭებდა. იგი მეტყველებდა საკმაოდ ორიგინალურად, ბოხი ხმით, მის ლაპარაკში გამოსჭვიოდა ძლიერი გონება და საღი ლოგიკა. მას ამშვენებდა შეუპოვარი და მტკიცე ხასიათი, დიდი გონება, ფართო ნიჭი და უნარი, უმწიკვლოება, პატიოსნება, მჩქეფარე ენერგია. იგი აღჭურვილი იყო დიდი ცოდნითა და გამოცდილებით“*. *„ყიფიანი გონებრივი და ზნეობრივი ღირსებებით მდიდარია, იგი წარმოადგენს ერთ მთლიან, ნათელ ნატურას, ურყევს პირველი დღეებიდან უკანასკნელ დღემდე“* – აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე.

ირაკლი გრძელიშვილი: ღონისძიებისთვის მზადების პროცესში ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია შევიტყვე დიმიტრი ყიფიანის შესახებ. ალბათ ბევრმა ჩემმა თანატოლმა არ იცის, რომ სწორედ დიმიტრი ყიფიანის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით დაარსდა პროფესიული ქართული თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა, ეროვნული ჟურნალისტიკა, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ და მრავალი სხვ.

სოფო გოდერძიშვილი: მასალებზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიქცია დიმიტრი ყიფიანის დამოკიდებულებამ ქართული ენის წარმომავლობის მიმართ. მას მიაჩნდა, რომ „ქართული ენა არის ჩინებული, უხვი, მდიდარი და უაღრესად მოქნილი ენა“. თავად ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. ასეთად მიიჩნევდნენ მას იაკობ გოგებაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი.

1882 წელს დიმიტრი ყიფიანმა გამოსცა წიგნი „ქართული ენის გრამატიკა“, რომლის გამოც რეაქციულ რუსულ პრესაში უკმაყოფილება გამოითქვა. რაზეც დიმიტრი ყიფიანი პასუხობს: *„ორი ათასი წელიწადია, რაც საქართველოში ქართული მწერლობა არსებობს და მაშ, როგორ გნებავთ. თქვენ გსურთ, რომ ეს ხალხი და ენა არ არსებობდეს. ნურას უკაცრავად, ნუ ეცდებით ქართული ენის დამცირებას.“* ეროვნულ საკითხებში დიმიტრი ყიფიანისთვის ამოსავალი დებულება ასეთი იყო – ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესულ გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე... *„მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაქრესო? იმ ენისას, რომელზეც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ მოციქულთა თანასწორნი და ათცამეტნი სირიელნი მამანი“* – წერდა დიმიტრი ყიფიანი.

მერაბ ბოგვერაძე: დიმიტრი ყიფიანის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ როცა ეგზარქოსისადმი მიწერილ წერილს ვკითხულობდი, გაოცებას ვერ ვმალავდი ამ ადამიანის გმირული საქციელის გამო. *„ამბობენ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელის თქვენგან. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი“*.

ეგზარქოსი პავლეს ჩარევის გამო 1884 წელს მღვდელი ჩუდეცკი დაინიშნა თბილისის სემინარიის რექტორად. სწავლის აუტანელი პირობების გამო მოსწავლე იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი. შავრაზმელმა ეგზარქოსმა 1886 წელს დასწყევლა მკვლელი და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი. მან საჯაროდ ანათემას გადასცა ის ხალხი, რომელმაც „ბოროტმოქმედი“ შობა.

მაგდა ლორია: ღონისძიებისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. დიდი გულისყურით გავეცანი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, განსაკუთრებით დამამახსოვრდა აკაკი წერეთლის მოგონება: *„გადასახლების წინ რამდენიმე დღით ადრე ქვიშხეთს მიველ, ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. ერთი იმთავითო და მეორე ამთავითო! – მომაყვირა სიცილით, – პატიმრობითვე დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვამთავრებო! დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობა! უკეთეს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდი! ეს ერთი საუკუნეა ქართველები ცუდკაცობისთვის იგ ზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა, დეე, პირველი მერცხალი მე ვიყო... მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გა ზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გა ზაფხული მაინც მოვა!“*

ანი კვეკვესკირი: ღონისძიება ძალიან დაგვეხმარა ახლოს გაგვეცნო დიმიტრი ყიფიანის პიროვნება. ყველა ჩემმა თანატოლმა უნდა იცოდეს ამ დიდებული ადამიანის ღვაწლისა და ამაგის შესახებ. 1887 წლის 24 ოქტომბერს დიმიტრი ყიფიანი ვერაგულად მოკლეს, ღამით მის ოთახში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და მოჰკლა. *„ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის ძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს...“* – წერდა აკაკი.

სტავროპოლიდან გადმოსვენებისას მთელმა ქალაქმა, განურჩევლად წოდებისა, დიმიტრი ყიფიანის კუბო გვირგვინებით შეამკო. ბოდიშს იხდიდნენ და სინანულს გამოთქვამდნენ, რომ მათ ქალაქში დიმიტრისთანა ადამიანს მხეცური სიკვდილით გაუმასპინძლდნენ. მისი ცხედარი ყაზბეგის გზით წამოასვენეს. გზადაგზა ყველა თავს მოვალედ თვლიდა მიცვალებულისთვის პატივი ეცათ, შეემკოთ გვირგვინებით და კუბოს კარგა მანძილზე გაყოლოდნენ. დუშეთში გლეხობა დიმიტრის ცხედარს მთელი ღამე ყარაულობდა. მცხეთას რომ მიუახლოვდნენ, სვეტიცხოვლის და სხვა ეკლესიების სამღვდელოება შემოსილი შეხვდა. სვეტიცხოვლის ტაძარში დაასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს.

ანი მიქანაძე: დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია. როცა მასალებს ვეცნობოდი, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გიორგი ტატიშვილის წერილმა: *„დიმიტრის მოკვლის ამბავი ილიას ბანკში გაეგო, მუშაობა შეწყვიტა, შეკრიბა თანამშრომლები და უთხრა: მოგვიკლეს ის დიდი ქართველი ადამიანი, რომელმაც ეს ბანკი მოგვცა და ბევრი სხვა დანესებულება და კულტურული საქმეები. დიდი უბედურებაა დიმიტრი ყიფიანის დაკარგვა ერისთვის. იგი მოკლეს იმისთვის, რომ დიდად დიდი ადამიანი იყო ჩვენთვის. ყველა ტიროდა. ივანე მაჩაბელს ქვითინი აუვარდა. პირმოკუმულ და წარბშეკრულ ილიას ჯერ ქვედა ტუჩმა დაუწყო თრთოლვა, მერე თვალთაგან ორი მსხვილი ცრემლი გადმოეწურა და ლამაზ ულვაშებზე დაენთხია. მე არასოდეს მენახა ასეთი ჩუმი, მუნჯი და ამავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარება.“*

მაკა ყიფიანი

სახელმძღვანელოები

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული საგანგებო სხდომა X კლასის ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების განხილვას მიეძღვნა. მეცნიერებმა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შესახებ იმსჯელეს. გთავაზობთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის მაია ჯალიაშვილის მოსაზრებებს თამაზ ვასაძისა და ნინო შარაშენიძის ავტორობით შექმნილ სახელმძღვანელოზე.

მეგზური სულიერი სრულყოფის გზაზე

ლიტერატურის მთავარი დანიშნულება ადამიანის სულიერი აღზრდაა, მისი ზნეობრივი სახის სრულყოფა, რათა მან შეძლოს საზოგადოებაში ცხოვრება, სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის იდეალების დაფასება. ლიტერატურის კარგი სახელმძღვანელო კი აუცილებელია იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს ამ იდეალების დამკვიდრებაში თავისი წვლილის შეტანა, სასწავლო პროცესი იმგვარად განახორციელოს, რომ მოსწავლეს დაეხმაროს სულიერი სრულყოფის გზაზე.

როგორია, ამ თვალსაზრისით, მე-10 კლასის რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელო? მასწავლებელს აქვს თავისუფლება, მისთვის ყველაზე მოსახერხებელი შეარჩიოს. შერჩევის კრიტერიუმები, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია და პედაგოგის პროფესიონალიზმს, ინტელექტს, გამოცდილებას ეფუძნება.

სახელმძღვანელო სახელმწიფოს დაკვეთაა, ე.ი. იგი ირეკლავს საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნებს, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია ჩამოყალიბებული. ჩვენში თითქმის ყოველ წელს სახელმძღვანელოების ცვლა შეიძლება დადებითი და უარყოფითი ნიშნით განვიხილოთ, ეს, ერთი მხრივ, მეტყველებს, რომ საგანმანათლებლო მიზნები არ არის ცხადად ჩამოყალიბებული, მეორე მხრივ, მიანიშნებს სრულყოფილებისაკენ სწრაფვაზე.

ამის დასტურია თამაზ ვასაძისა და ნინო შარაშენიძის ავტორობით შედგენილი სახელმძღვანელო, რომელსაც აშკარად ეტყობა გაუმჯობესება. მეორე ავტორის, ენის სპეციალისტის დამატებამ, სახელმძღვანელოს შესძინა ის აუცილებელი მასალა, რომლის დახმარებითაც ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მიზანი ხორციელდება.

ეს სახელმძღვანელო თემატური პრინციპითაა შედგენილი, რაც ავტორებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი (კერძოდ, VIII საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით – იოანე საბანისძის „აბოს წამებიდან“ დაწყებული) სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები ერთ რკალში მოაქციონ, ეს ხელს უწყობს ქართული ლიტერატურის მთლიანობაში წარმოდგენას.

სახელმძღვანელო იცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ვფიქრობთ, მართლაც, ამ წიგნით სწავლის შემდეგ, მე-10 კლასის მოსწავლე შეძლებს:

➪ არგუმენტირებულ მსჯელობას სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;

➪ ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბებას და წარმოჩენას;

➪ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირებას, შედარებას, შეპირისპირებას, დაკავშირებას და ანალიზს;

➪ სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრებას და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას;

➪ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზებას;

➪ წერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენას;

➪ ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღმოჩენას.

რა თქმა უნდა, კარგ სახელმძღვანელოსთან ერთად, მნიშვნელოვანია კარგი მასწავლებელი და ბეჯითი მოსწავლე, რომელსაც მეათე კლასამდე უკვე შეძენილი და დახვეწილი ჰქონდეს მოსმენის, კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარები.

სახელმძღვანელოში მხატვრული ნაწარმოებები ხუთ რუბრიკაშია წარმოდგენილი. თითოეულის კონცეფცია საინტერესო და საგულისხმოა, ესენია: 1. დაკარგული ედემი, რომელშიც აქცენტირებულია ეროვნული იდეალები, კერძოდ, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აუცილებლობა ერის გადარჩენისთვის. ეს მნიშვნელოვანი თემა ტრადიციულადაა დამუშავებული ილიას „დაკარგული ედემის“, „მგზავრის წერილების“, „აჩრდილის“, ბარათაშვილის „ბედი ქართლისასა“, აკაკის „განთიადის“, გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ვაჟა-ფშაველას წერილის „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და ილიას წერილის „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ მიხედვით. აქ კარგი იქნებოდა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯადან“ ერთი ფრაგმენტის ჩართვაც.

2. ბედნიერი ერი – ამ რუბრიკაში წარმოდგენილი ნაწარმოებების მიხედვით, წარმოჩნდება ქართველთა ხასიათი, ცხოვრების წესი, ოღონდ სარკასტულად, იუმორით, სატირით (აქ არის: ილიას „ბედნიერი ერი“ და „კაცია-ადამიანი?!“, დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რეზო ჭეიშვილის „ბიძია“ და ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი „ჩვენ და ცხოვრება“).

3. ადამიანი საზოგადოების პირისპირ – აქ სხვადასხვა ასპექტით წარმოჩენილია პიროვნებისა და საზოგადოების რთული ურთიერთობა. იოანე საბანისძის „აბოს წამების“, ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“, აკაკი წერეთლის „გამზრდელის“, დავით კლდიაშვილის „შერისხვის“, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“, ჯემალ ქარჩხაძის „იგის“, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ მიხედვით.

აქ ძველი ქართული ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოების ჩართვა, ერთი შეხედვით, შეიძლება ხელოვნურადაც კი მოგჩვენებოდათ, მაგრამ, იმის გაცნობის შემდეგ, თუ რაგვარი სასწავლო-შემეცნებითი მასალა ახლავს, ეს ეჭვი გაქარწყლდება.

ავტორი თავიდანვე, მცირე მინაწერში ხაზს უსვამს, რომ „ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის ერთი ღირსეული პიროვნების პოზიცია და ქმედება“. ძველი ქართული ტექსტის აღქმის გასაადვილებლად განმარტებები ტექსტშივეა ჩართული. ნაწარმოების გასააზრებლად კითხვებიც კარგადაა შერჩეული და დაჯგუფებული სამ ნაწილად: 1. რწმენა ძალადობის წინაშე, 2. ქართლში შემოსვლა და ნათლისღება, 3. დევნა, დასჯა, სულიერი გამარჯვება.

აქვეა მოყვანილი ფრაგმენტი ნოდარ წულეისკირის რომანიდან „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“, ფრაგმენტი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“ („ვაი, რა კარგი საჩინო...“), ციტატა სემიონ ფრანკის წერილიდან ქრისტიანული ცხოვრების გზის არსზე. ამ ყველაფერს შესაბამისი დავალებები ახლავს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეს, კარგად გაიაზროს აბოს თავგანწირვა.

მიუხედავად ამისა, მაინც დაგვრჩა მცირე უკმაყოფილების განცდა, რადგან არაფერია ჰაგიოგრაფიის ჟანრსა და მის სპეციფიკაზე ნათქვამი. კარგი იქნებოდა, რეზო სირაძის რომელიმე წერილიდან ფრაგმენტის მოხმობა, რომელიც მოსწავლეს უკეთესად გაარკვევდა აბოს თავგანწირვის მოტივაციაში, მისი, როგორც ქრისტიანობისთვის წამებულის, სახის გარკვევაში.

4. რუბრიკა შინაგანი ხმა – ვაჟა-ფშაველას „სინდისისა“ და „მგლის“, მიხეილ ჯავახიშვილის „ორი განაჩენის“, ნიკო ლორთქიფანიძის „სანახავათ“, ვასილ ბარნოვის „აღდგომის ცოდვის“, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით. ეს რუბრიკა მნიშვნელოვნად გაამდიდრა გურამიშვილის ნაწარმოების ჩართვამ, რომელსაც გასააზრებლად, მშვენიერი კითხვების გარდა, პარალელის გასავლებად ახლავს ფრაგმენტები დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბას ნაწარმოებებიდან („გალობანი სინანულისანი“ და „სწავლანი“).

5. შემდეგი რუბრიკაა: რაც არ იწვის, არ ანათებს – აქ წარმოდგენილია: გურამიშვილის „დავითიანი“ („სჯობს ვეტრფიალო მზეთამზეს“, ბარათაშვილის „არ უკიჟინო, სატრფოო“ და „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“, ილიას „განდეგილი“, აკაკის „რაც არ იწვის, არ ანათებს“, ვაჟა-ფშაველას „სოფლისა წესი ასეა“, ნიკო ლორთქიფანიძის „ქორწილი“, გურამ რჩეულიშვილის „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, რეზო ინანიშვილის „ჩემი საწყალი სიყვარული“, ნოდარ დუმბაძის „ნუ გააღვიძებ“. აქ კარგი იქნებოდა „ვეფხისტყაოსნიდან“ მცირე ფრაგმენტი, მაგალითად, ნესტანის ტარიელისთვის ქაჯეთიდან გამოგზავნილი წერილიდან.

სახელმძღვანელოს ბოლოს არის დანართი „შტრიხები ქართველ მწერალთა პორტრეტებისთვის“, რომელმაც აუცილებელი მასალით შეავსო წიგნი. აქ არის არა მხოლოდ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, არამედ ავტორთა შესახებ მოგონებები და სხვა საინტერესო ამბები.

ახლა, იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ შეისწავლება ნაწარმოები, ერთი კონკრეტული მხატვრული ტექსტის სწავლების მაგალითზე წარმოგიდგენთ აქ გამოყენებულ ერთგვარ მოდელს, რომელიც არსებითად აირეკლავს მთელ წიგნს.

მაგალითად, როგორ შეისწავლება ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“? დასაწყისში მოკლედ და ლაკონურად, ავტორის შემოქმედების ზოგადი და არსებითი შეფასებაა წარმოჩენილი, შემდეგ არის ტექსტი (სქოლიოში განმარტებებითა და ლექსიკონით), რომელსაც მოსდევს თემატურად დაჯგუფებული კითხვები მსჯელობისთვის, რაც განავითარებს მოსწავლის ზეპირმეტყველების უნარს. ეს კარგია, რადგან შესაძლებლობას ქმნის, რომ ნაწარმოები სხვადასხვა რაკურსით გაანალიზდეს. მაგ., „ბედი ქართლისას“ კითხვები ასეა დაჯგუფებული: „საქართველოს ბედი – ორი თვალთახედვა“; „კამათი საქართველოს ბედზე“; „რაც ლიონიძეს უთქმელი დარჩა“; „მეფის აზრი უცვლელია“. აქ სხვადასხვა ტიპის კითხვებია, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ტექსტის ფაქტობრივი მასალის დამახსოვრება, იდეურ-თემატური ანალიზი და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე მსჯელობა.

აქვე მოსწავლეებს მიცემული აქვთ დავალება, თვითონ დასვან კითხვები. ეს კარგი სტრატეგიაა, რათა მათ გამოუმუშავდეთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მოსწავლეს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევისთვის სხვა დავალებაც – თვითონ მოიძიოს ისტორიული მასალა ამ საკითხზე და იმსჯელოს, რამდენად მისდევს ავტორი ისტორიულ მოვლენებს.

ასევე, დამოუკიდებლად უნდა გაავლოს პარალელი ამავე პოეტის ლექსთან „ფიქრნი მტკვრის პირას“ და გურამიშვილის „ქართლის ჭირთან“.

აგრეთვე, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას ემსახურება რამდენიმე დავალება; აქ მოყვანილია კიტა აბაშიძის ციტატა, რომელიც მეფის გადაწყვეტილებას გარკვეული არგუმენტებით ამართლებს.

დავალება კი ამგვარია: იმსჯელეთ, რა არის წარმოჩენილი პოემაში ისეთი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ციტატაში მოცემულ თვალსაზრისს. აქვეა წიგნის ავტორის კომენტარი 1832 წლის შეთქმულებაზე და შემდეგ კვლავ დავალება, თუ როგორ განზოგადდა ნაწარმოებში ამ შეთქმულების მნიშვნელობა. ამას მოსდევს კვლავ ავტორისეული კომენტარი, რომელშიც ამ პოემაში ბუნების მხატვრული ფუნქციაა გაანალიზებული და სამსჯელოდ შეთავაზებულია პარალელის გავლება ილიას „დაკარგულ ედემთან“.

წერის უნარის გასავითარებლად დავალებად მიცემულია ესე: „როდის და რატომ კარგავს ქვეყანა დამოუკიდებლობას“, რომელსაც რამდენიმე მითითება რომ ახლდეს, კარგი იქნებოდა. აქვეა სადისკუსიო თემა შეთავაზებული.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ტიპის დავალება უხვადაა შეთავაზებული, რაც მასწავლებელს ყოველგვარ პირობას უქმნის, წინასწარ დასახული მიზანი, ტექსტის ყოველმხრივ გაანალიზებისა, თანმიმდევრულად მოცემული ამოცანების შესრულებით, წარმატებით განახორციელოს.

აქვე გამოვთქვამთ მცირე შენიშვნას: როგორ უნდა დაიწეროს ესე, ამის შესახებ რჩევა ცოტა მოგვიანებით, აკაკის ლექს „განთიადის“ შესწავლის შემდეგაა შეთავაზებული. კარგი იქნებოდა, პირველსავე მასალას ხლებოდა. ეს ხარვეზი შეიძლება შემდგომ გამოცემაში ზოგადად ჩასწორდეს.

ეს მოდელი მცირეოდენი ცვლილებით მეორდება ყოველი ტექსტის შესწავლისას.

ამ თემის სწავლებისას არ იყო საჭიროება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინებისა თუ უცხო მოაზროვნეთა ციტირებისა, რაც სხვაგან არის, მაგალითად, მაქს ვებერის ციტატა მოხმობილია „დაკარგული ედემის“ სწავლებისას, თანაც საგულისხმოა, რომ ციტატას ახლავს დავალება, მოსწავლემ თვითონ დაინახოს და გააანალიზოს კავშირი ორ სხვადასხვა ტექსტს შორის. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგი დავალებები: მოსწავლემ ერთმანეთს უნდა შეუდაროს გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე...“ ჯაკომო ლეოპარდის ლექსს „იტალიისადმი“. ილიას „კაცია-ადამიანის?!“ სწავლებისას მოყვანილია ფრაგმენტები ერაზმ როტერდამელის სატირული თხზულებიდან „სისულელის ქება“, ამავე თემაზეა მოხმობილი ლევ ტოლსტოის მოსაზრებაც ადამიანის სხეულებრივი და სულიერი ცხოვრების შესახებ.

საგულისხმოა ტექსტის შესასწავლად მოფიქრებული რუბრიკა „ლიტერატურის არსენალი“, რომელშიც ავტორის კომენტარებია ლიტმცოდნეობით თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ზოგ ტექსტს ახლავს რუბრიკა „ციტატა“, რომელშიც შემოთავაზებულია სასწავლო თემასთან დაკავშირებული ქართული და მსოფლიო კულტურის ცნობილ მოაზროვნეთა თვალსაზრისები შესაბამისი დავალებით. ასე ეცნობიან მოსწავლეები ნიკოლაი ჰარტმანის, კურტ ჰიუბნერის, მიგელ დე უნამუნოს, სემიონ ფრანკის, კიტა აბაშიძის, აკაკი ბაქრაძის, გრიგოლ რობაქიძის და სხვათა ნააზრევს.

„პარალელების“ რუბრიკაში ხშირად არის მასალა: „გთხოვთ წაიკითხოთ“, რომელშიც ავტორი მოკლედ მიმოიხილავს სხვადასხვა მწერლის რომელიმე ნაწარმოებს და მოსწავლეებს ურჩევს პარალელების გავლებას. მაგალითად, „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებისას ავტორი შეკუმშულად, ლაკონურად წარმოაჩენს, თუ როგორ უპირისპირდება ჰენრიკ იბსენის პიესა „ხალხის მტრის“ მთავარი გმირი, ექიმი სტოკმანი, საზოგადოებას და დავალებად აძლევს მისი ქცევის მოტივაცია შეადარონ ალუდა ქეთელაურისას. ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ სწავლებისას ჰერმან ჰესეს „ტყის კაცია“ გახსენებული. ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლებისას – სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“, „ჰაკი აძბას“ სწავლებისას – ჰერმან მელვილის „მობი დიკი“ და მოპასანის ნოველა „ფუნთუშა“, ვაჟას „სინდისის“ სწავლებისას – ბაირონის „კაენი“, ჯავახიშვილის „ორი განაჩენის“ სწავლებისას – დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, ნიკო ლორთქიფანიძის „სანახავათ“ სწავლებისას – ანტონ ჩეხოვის „როტშილდის ვიოლინო“, ილიას „განდეგილის“ სწავლებისას – გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნება“, ემილ ზოლას „აბატ მურეს შეცოდება“, ტოლსტოის „მამა სერგი“. ეს, მართლაც, ძალიან კარგი სტიმულია ახალი წიგნის წასაკითხად და თანამედროვე ახალგაზრდების იმ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლის

სახელმძღვანელოები

აღმოსაფხვრელად, რომელსაც უწიგნურობა ჰქვია.

როგორია ნინო შარაშენიძის მიერ დართული მასალა საერთო სათაურით „ენის სამყაროში“? ვფიქრობთ, ეს არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხები. ეს მასალა ითვალისწინებს პრაქტიკულ მუშაობას.

ავტორი მხატვრული ტექსტისთვის ნიშანდობლივ ყველა ლიტმცოდნეობით საკითხს დაწვრილებით წარმოაჩენს და შესაბამისი დავალებებით ხელს უწყობს მოსწავლეს, უკეთესად გაერკვეს თითოეული მწერლის სტილსა და მხატვრული ხედვის თავისებურებაში. ამ დავალებათა მოდელი ასეთია: ჯერ არის მწერლის ენაზე საუბარი, შემდეგ ტექსტისთვის დამახასიათებელ რომელიმე შტრიხზე, ვთქვათ, არქაიზმსა და მის ფუნქციაზე, კონტრასტზე, ავტორისეულ თუ სხვა ტიპის თხრობაზე, სხვადასხვა სტილის – სამეცნიერო, პუბლიცისტურ, ოფიციალურ-საქმიან და მხატვრულზეა მსჯელობა; კლდიაშვილის სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია იუმორზე, ირონიასა და სატირაზე, მონოლოგის, დიალოგის, პოლილოგის რაობასა და ფუნქციაზე. მსჯელობაა სხვადასხვა ტიპის ესეზე. ყოველ საკითხს ახლავს შესაბამისი პრაქტიკული ხასიათის დავალება. ასე რომ, მოსწავლე გაიაზრებს მხატვრული ტექსტის შექმნის თავისებურებებს.

საგულისხმოა, რომ არის ასეთი დავალებაც: „გავიხსენოთ გრამატიკიდან და შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა“. აქ მოსწავლე, მასწავლებლის დახმარებით, გაიხსენებს მორფოლოგიის, სინტაქსის, პუნქტუაციის, სტილის საკითხებს და შეასრულებს დავალებას.

კარგია, რომ სახელმძღვანელო, შეძლებისდაგვარად, ილუსტრირებულია, ავტორთა ფოტოები და შინარსობრივი რეალიების ამსახველი ნახატებია ჩართული.

ასე რომ, სახელმძღვანელოს მთავარი ფუნქცია, უხელმძღვანელოს, გეზი მისცეს, გაარკვიოს მასწავლებელიცა და მოსწავლეც – შესრულებულია. მასწავლებელს ამომწურავი გეგმა აქვს მიწოდებული, თუმცა მისი დახმარება კითხვებზე პასუხისას, ყოველ თემაზე მსჯელობისას აუცილებელი იქნება და სწორედ აქ დასჭირდება მას საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების მოხმობა. ეს ცოდნა და გამოცდილება კი გამუდმებით უნდა შეიძინოს და დახვეწოს ქართული თუ უცხოური სამეცნიერო და პედაგოგიკური ლიტერატურის გაცნობით.

მაია ჯალიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ინფორმაცია

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორს **გია მურღულიას** წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბრწყინვალების ორდენი გადასცა. მინისტრის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მთავრობა ასეთ მაღალ ჯილდოს სკოლის დირექტორს ანიჭებს.

გია მურღულია, 30-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. არის მრავალი ნაშრომის, გამოცემისა და პროექტის ავტორი. მას ეკუთვნის დამხმარე სახელმძღვანელო სკოლებისათვის „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“, საგანმანათლებლო წერილების კრებული „ფიქრი განათლებაზე“, რომლისთვისაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია გადაეცა. ასევე მისი ავტორობით გამოიცა 17- წიგნიანი კრებული სახელწოდებით – „საერო ქართველი მწერლები სკოლაში“

და ექვსტომეული „მსოფლიოს რჩეული მოთხრობები“, რომლისთვისაც წარდგენილი იყო წლის საუკეთესო პროექტის ნომინაციაზე ლიტერატურულ კონკურსში.

გია მურღულიას ავტორობით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის შედევრების მოკლე შინაარსები“ და ძველი და თანამედროვე იგავების კრებული „სიბრძნე მინიატურაში“. მან დააარსა გოგი დოლიძის სახელობის სიმღერების ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და მასში 1000-მდე სკოლის მოსწავლე მონაწილეობს. მისივე ინიციატივით, დაარსდა კონკურსი „ვწერთ თავისუფალ თემას“ განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის და შემეცნებითგასართობი პროგრამა მოსწავლეთათვის „7 დღე“.

ბატონ გიას რადიო „პალიტრის“ ეთერში მიჰყავს საავტორო გადაცემა „მშობელთა კრება“. დაკავებულია საზოგადოებრივი საქმიანობით, არის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი „განათლების ლიდერთა ლიგის“ და „პარტნიორი სკოლების კავშირის“. ასევე მისი თაოსნობით დაარსდა დავით გურამიშვილის ფონდი, რომლის პრემიაც საქართველოსთვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის საქართველოს პატრიარქს და ჭაბუა ამირეჯიბს გადაეცათ.

როგორც კარგი ორგანიზატორი, გია მურღულია არის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პედაგოგი „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“, ასევე სკოლა „ლოგოსის“ დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი; 1990-2000 წლებში იყო საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის რექტორი; 2000-2004 წლებში – თბილისის საკრებულოს წევრი; 2004 წლიდან არის თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

◆◆◆

ავიაკომპანიამ „აირზენა“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, კონკურსის „გახდი ავიატორი“ ფარგლებში, აქცია მოაწყო. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან კომპანიამ ბათუმში გადააფრინა 40-მდე ბავშვი სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახებიდან. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** დაესწრო.

ერთი დღის განმავლობაში მოზარდებმა პროფესიონალი გიდის დახმარებით დაათვალიერეს ბათუმი და იმავე საღამოს გადმოფრინდნენ თბილისში. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოზარდებში ავიაციის თემის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის აღმოჩენა.

„გახდი ავიატორის“ ფარგლებში, ავიაკომპანიის პილოტები და ბორტგამცილებლები უკვე შეხვდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს და მათთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხეს.

გასულ წლებში, მსგავსი კონკურსის შედეგად, რამდენიმე მოსწავლემ თავისი მომავალი სწორედ ავიაციას დაუკავშირა.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ინგლისური ენის მასწავლებელთა ტრენინგების მიმდინარეობას გაეცნო, რომელიც სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და English book Georgia-ს ორგანიზებით მიმდინარეობს და მასში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის საჯარო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები მონაწილეობენ. ტრენინგს ოქსფორდის მასწავლებელთა აკადემიის ინგლისური ენის სწავლების კურსის ხელმძღვანელი **ტერეზა დოგუელი** ახორციელებს.

ტრენინგის მიზანია ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სასწავლო პროცესში უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. ტრენინგის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გრამატიკის სწავლების მეთოდების გაცნობას და მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას. გადამზადებულ მასწავლებლებს გადაეცემათ ოქსფორდის აკადემიის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები. ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემა.

მსგავსი ტრენინგები სისტემატურ ხასიათს მიიღებს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მიმდინარე წელს 600-მდე მასწავლებლის გადამზადებას გეგმავს.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონს ეწვია და სადაზღვევო კომპანია „ალფას“ მიერ ორგანიზებულ აქციაში მიიღო მონაწილეობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და სადაზღვევო კომპანიის „ალფა“ ორგანიზებით, ავერსის კლინიკის მაღალკვალიფიციურმა ექიმებმა უსინათლო ბავშვებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს.

202-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს კვლევა ხუთი მიმართულებით ჩაუტარდათ: ოფთალმოლოგიური, ნერვოპათოლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიული, კარდიოლოგიური და ექოსკოპიური. აქციის ფარგლებში, „ავერსის საქველმოქმედო ფონდიდან“ სკოლას 33 დასახელების მედიკამენტი უფასოდ გადაეცა.

უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონში ჩატარებული აქციის მიზანი იყო დაწესებულების ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, ქრონიკულ პაციენტთა გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების დასახვა.

სადაზღვევო კომპანია „ალფა“ 2009 წელს დაარსდა და აქტიურადაა ჩართული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების სამედიცინი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში. კომპანიის გენერალური დირექტორის **ედუარდ ცხოვრებაძის** განცხადებით, 202-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული აქცია არ იქნება ერთჯერადი და მომავალშიც გაგრძელდება.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ტეხასის საერთაშორისო საგანმანათლებლო კონსორციუმის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი **რონალდ აქვა**.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** რონალდ აქვასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის მთავარი მიზანი კონსორციუმში გაერთიანებულ 32 უნივერსიტეტსა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების საკითხი.

ტეხასის საერთაშორისო საგანმანათლებლო კონსორციუმი 1985 წელს დაარსდა. ამჟამად, კონსორციუმში 32 უნივერსიტეტია გაერთიანებული.

კონსორციუმი მსოფლიოს მასშტაბით არსებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს ისეთი მოთხოვნადი სფეროების განვითარებაში, როგორიცაა: განათლება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ჯანდაცვა და გარემოს დაცვა. თანამშრომლობის პერიოდში, აქცენტი კეთდება სტუდენტთა მობილობაზე, უნარების ჩამოყალიბებასა და გლობალურ პოზიციაზე.

უნივერსიტეტების გაერთიანება ახორციელებს არა მხოლოდ მსოფლიოში ცნობილ პროგრამებს, არამედ ხელმძღვანელობს კვლევით ცენტრსა და ინსტიტუტს, გადამზადების პროგრამებს და საჯარო პოლიტიკას. ტეხასის უნივერსიტეტების კონსორციუმში ფუნქციონირებს შემდეგი

პროგრამები: ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, საჯარო ადმინისტრაცია, ინჟინერია და ენერგეტიკა, გარემო და ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და მდგრადი განვითარება, მედიცინა, ინგლისური, როგორც მეორე ენა. კონსორციუმი ხელს უწყობს ინსტიტუციური პარტნიორობის ჩამოყალიბებას, აკადემიური გამოცდილებისა და კვლევითი რესურსების გაზიარებას, მის წევრ უნივერსიტეტებს ეხმარება ისეთი პროგრამების შექმნაში, რომელიც გააძლიერებს პარტნიორობას მსოფლიოს მასშტაბით და იქნება კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ასპარეზზე.

რონალდ აქვამ, რომელიც კონსორციუმამდე მისისიპის საერთაშორისო უნივერსიტეტში საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობდა, შეიმუშავა საერთაშორისო პოლიტიკის სწავლების, საჯარო სამსახურის აქტივობისა და საზოგადოების ჩართულობის პროგრამა. მინისტრთან შეხვედრის დროს, დოქტორმა აქვამ საქართველოს დახმარება აღუთქვა ეფექტური პროგრამების შემუშავებაში.

საბჭოთა განათლების სისტემა აფხაზეთში

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ანექსირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. გახდა საბჭოთა იმპერიის ნაწილი. საბჭოთა ხელისუფლება იმავე წლის 4 მარტს დამყარდა აფხაზეთშიც. ყოველივე ამან დიდი ცვლილებები გამოიწვია საქართველოსა და მათ შორის აფხაზეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამ პერიოდიდან ყველა სფეროში საბჭოთა იმპერიის ცხოვრების წესები და კანონები დამკვიდრდა, მმართველობის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა ჩამოყალიბდა. სახალხო განათლებაც ორგანიზებულ იქნა ახალი – საბჭოთა სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.

1921 წლისათვის აფხაზეთში 146 სკოლა იყო, 10458 მოსწავლით და 248 მასწავლებლით. ამ პერიოდში მთელი მოსახლეობის მხოლოდ ორი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე. აფხაზეთში არ იყო არც ერთი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, თუ არ ჩავთვლით სამასწავლებლო სემინარიას, რომელიც 1917 წელს გაიხსნა სოხუმში.

გასაბჭოების პირველივე დღეებში აფხაზეთის რევკომთან შეიქმნა სახალხო განათლების საოლქო განყოფილება ადგილებზე თავის შესაბამისი ორგანოებით.

1921 წლის ბოლოს სახალხო განათლების საოლქო განყოფილება გარდაიქმნა განათლების სახალხო კომისარიატად, ყველა აუცილებელი განყოფილებით, რომელიც ხელმძღვანელობდა განათლების დარგის მუშაობას. ამავე პერიოდში პრაქტიკული დახმარების მიზნით, თბილისიდან და რუსეთის ფედერაციიდან სოხუმში ჩამოვიდნენ განათლების დარგის გამოცდილი მუშაკები.

აფხაზეთის მთავრობის დადგენილებით, ყველა სასკოლო შენობა გადავიდა სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში. აღწერილ იქნა სასკოლო ქსელი მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის ჩვენებით, სასკოლო შენობების და მათი მატერიალური ბაზის მდგომარეობით.

საბჭოთა მთავრობის დეკრეტის შესაბამისად, 1921 წლის 21 მარტს, საოლქო განყოფილებამ ყველა ტიპის სასწავლებელში გაგზავნა წერილი, რომელშიც მითითებულ იქნა სასულიერო პირების სკოლებიდან დათხოვნა და სასკოლო ბიბლიოთეკებიდან რელიგიური ლიტერატურის ამოღება. ამავე დროს კატეგორიულად აიკრძალა სკოლებში რელიგიური რიტუალების ჩატარება. ამით აფხაზეთში, სადაც XIX ს-ში დიდი მუშაობა ჩატარდა მართლმადიდებლური რელიგიის აღსადგენად, მისი დევნა დაიწყო.

აფხაზეთში სახალხო განათლების ორგანიზაციის პრინციპები ისეთივე იყო, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში. ასევე ის შეესაბამებოდა რუსეთის ფედერაციაში განხორციელებულ ღონისძიებებს. საბჭოთა განათლების სისტემა შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა: ა) საბჭოთა სასკოლო სისტემის მტკიცე კავშირი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ამოცანებთან; ბ) სასკოლო სისტემის სახელმწიფოებრიობა; გ) თანამიმდევრული სოციალისტური დემოკრატიულობა; დ) ყველა ერის თანაბარუფლებიანობა; ე) სწავლების საერთო ხასიათი ყველა საფეხურზე; ვ) ქალთა და ვაჟთა სრული თანასწორუფლებიანობა; ზ) სასკოლო სისტემის რგოლთა შორის მტკიცე კავშირი; თ) სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების ეკლესიიდან გამოყოფა; ი) საყოველთაო უფასო განათლება; კ) მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ერთდროულად რუსული ენის აუცილებლად დაუფლება (დოცენტი უშანგი ობოლაძე – „საბჭოთა სასკოლო განათლების სისტემა“ ჟურნალი კომ. აღზრდა, 1971, №11, გვ. 23-24).

ასეთი პრინციპით ხორციელდებოდა განათლების სისტემის განვითარება საბჭოთა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რაც ნათლად გამოხატავდა საბჭოთა რეჟიმის ინტერესებს.

სტრუქტურული აგებულების თვალსაზრისით და სწავლის ვადის ხანგრძლივობის მიხედვით აფხაზეთის სასკოლო განათლების სისტემამ ისეთივე ცვლილებები განიცადა, როგორც დანარჩენ საქართველოში. ეს ცვლილებები შემდეგში მდგომარეობდა: 1921-1923 წლებში აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ასევე სასკოლო განათლების დროებითი გარდამავალი სისტემა არსებობდა. ეს სისტემა აერთიანებდა: 1. სკოლამდელ დაწესებულებებს (საბავშვო ბაღებს); 2. ნორმალური ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, ტექნიკუმებს; 3. სკოლის გარეშე დაწესებულებებს; 4. დაბალ და საშუალო პროფესიულ სკოლებს; 5. მოზრდილთა საშუალო განათლების სასწავლებლებს; 6. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 7. უმაღლეს სასწავლებლებს, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო მასობრივი სკოლა 12-წლიანი იყო და სკოლათა შემდეგი ტიპებისაგან შედგებოდა: დაწყებითი სკოლა, არასრული საშუალო სკოლა და ტექნიკუმები ორთხწლიანი სწავლების ვადით. არსებობდა ტექნიკუმების ორი ძირითადი ტიპი: სპეციალური, ანუ პროფესიული ტექნიკუმები და ჰუმანიტარული ტექნიკუმები, რომლებიც, ფაქტობრივად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასკვნით საფეხურს წარმოადგენდნენ.

1923-24 სასწავლო წელს აფხაზეთში იყო 209 სასწავლო დაწესებულება; მათ შორის ტექნიკუმები – 2, 9-წლიანი სკოლები – 2, 7-წლიანი სკოლები – 16, დაწყებითი სკოლები – 181, საბავშვო სახლები – 2, ბაღები – 6, პოლიტგანათლების დაწესებულებები – 45. მოსწავლეთა რაოდენობა – 15048-ს შეადგენდა, მასწავლებელთა – 433-ს.

სკოლებს სახელმწიფო ბიუჯეტი არ ინახავდა, სწავლის ფულს მოსახლეობა იხდიდა.

1928-1929 სასწავლო წელს დაწყებითი სკოლების რაოდენობამ 296-ს მიაღწია, ნაციონალური შემადგენლობით: აფხაზური სკოლები იყო 51, ქართული – 84, რუსული – 15, სომხური – 77, ბერძნული – 56, თურქული – 3, ესტონური – 3, გერმანული – 1, შერეული – 6.

მოსწავლეთა ნაციონალური მდგომარეობა ასე გამოიყურებოდა: აფხაზები – 4158, ქართველები – 7553, რუსები – 1102, სომხები – 4576, ბერძნები – 3360, თურქები – 138, ესტონელები – 98, გერმანელები – 53, სხვადასხვა – 138, სულ 21190 ბავშვი.

მაღალი საფეხურის სკოლების რიცხვმა 33 შეადგინა, აქედან 7-წლიანი – 17, 9-წლიანი – 9, სოფლის ახალგაზრდობის – 6, მუშა ახალგაზრდობის – 1, მოსწავლეთა რაოდენობამ 2998 ადამიანი შეადგინა.

უმაღლეს განათლებას აფხაზეთის ახალგაზრდობა იღებდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში. 1928-1929 სასწავლო წელს სხვადასხვა სპეციალობებზე 68 ახალგაზრდა სწავლობდა.

ამ პერიოდში აფხაზეთში ფუნქციონირებდა 7 პროფესიული სასწავლებელი, პედაგოგიკური ტექნიკუმი – 2, ინდუსტრიული – 1, სასოფლო-სამეურნეო – 1, პედაგოგიური კურსები – 1, ჭრა-კერვის სკოლა – 2. ქართული პედაგოგიური ტექნიკუმი ქ. სოხუმში 1928-29 სასწავლო წლისთვის გაიხსნა, 1930 წელს კი დაარსდა სამუსიკო ტექნიკუმი.

1925 წლიდან სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროფესიული კადრების მომზადების ამოცანას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წყვეტდნენ. ამ დროიდან კადრებზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. ამის გამო 1925-29 წლებში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს საშუალო ზოგადი განათლების სპეციალიზაცია, ე.ი. პროფესიული განხრების ჩამოყალიბება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სოფლის ბავშვების აგრომომზადების მიზნით შვიდწლიანი სკოლების უფროსი კლასები გადაკეთდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად, 9-წლიანი სკოლები ბოლო ორი წელი გადაყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო განხრით. 1928-29 სასწავლო წელს აფხაზეთში 6 სოფლის ახალგაზრდობის სკოლა იყო, ხოლო მომდევნო წელს – 8, 458 მოსწავლით.

1929-30 სასწავლო წლისათვის აფხაზეთში ფუნქციონირებდა 9 სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, სადაც გახსნილი იყო 25 ჯგუფი, სწავლობდა 645 მოსწავლე. ყველა რაიონში თითო სასწავლებელი ფუნქციონირებდა.

დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დადგა დაწყებითი საყოველთაო განათლების აუცილებლობა და მიღებულ იქნა შესაბამისი კანონიც, შემოვიდა საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება ქალაქებსა და ქალაქის ტიპის ადგილებში.

1936 წლისათვის სასწავლო დაწესებულებების ქსელი ასე გამოიყურებოდა: სკოლამდელი დაწესებულებები – 47, 2574 ბავშვით, დაწყებითი სკოლები – 342, 21120 მოსწავლით, არასრული (I-VII კლასი) – 90, 19785 მოსწავლით, საშუალო (I-X კლასი) – 21, 13806 მოსწავლით, სულ სკოლები (I-X კლ. – 453, 53711 მოსწავლით, მუშაობდა 1799 მასწავლებელი (ვ. ნარსია, „განათლება რევოლუციამდელ აფხაზეთში“, გვ. 52, 53, 54).

30-იან წლებში სასკოლო განათლების სისტემა დაიხვეწა მთლიანად საქართველოში, მათ შორის აფხაზეთშიც. დაწყებით შვიდწლიან და საშუალო სკოლებში ზუსტად განისაზღვრა სწავლის ხანგრძლივობა და მისი შინაარსი, დადგინდა მოსწავლეთა სკოლებში ჩარიცხვის, გამოცდების, სკოლის დამთავრების წესები. განათლების ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას განათლების სახალხო კომისარიატი ახორციელებდა.

1932 წელს სოხუმში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც უმაღლესი კვალიფიკაციის პედკადრებს ამზადებდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის. მას უდიდეს დახმარებას უწევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები. სოხუმის პედინსტიტუტში ლექციებს კითხულობდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან ცნობილი მეცნიერები, რითაც ფასდაუდებელი დახმარება გაწიეს ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში.

1936 წლისათვის აფხაზეთში მუშაობდა ოთხი პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც 600 ადამიანი სწავლობდა. ამ პერიოდში აფხაზეთში იყო ორი უმაღლესი სასწავლებელი – სუბტროპიკული და პედაგოგიური.

1941 წლისათვის განათლების სისტემა აერთიანებდა საბავშვო ბაღებს, დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებს, მოზრდილთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სპეციალურ ტექნიკუმებს, სპეციალურ ინსტიტუტებს, უნივერსიტეტს, ასპირანტურას, საბავშვო სახლებს, სპეციალურ სკოლებს ბუნებრივი ნაკლის მქონე ბავშვთათვის, შრომითი რეზერვების სკოლებს.

1945-46 სასწავლო წელს აფხაზეთში 424 სკოლა არსებობდა, მათ შორის საშუალო – 50, შვიდწლიანი – 146, დაწყებითი – 228, სულ 51256 მოსწავლე სწავლობდა. სკოლებში მუშაობდა 3500 მასწავლებელი, 417 – უმაღლესი განათლებით, 893 – დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით.

გარდა ამისა, ფუნქციონირებდა 9 საშუალო სპეციალობის სასწავლებელი, მათ შორის ხუთი პედაგოგიური პროფილით. 51 საბავშვო ბაღი – 2383 ბავშვი.

ამავე სასწავლო წელს აფხაზურ სკოლებში I-V კლასებში სწავლება ქართულ ენაზე იქნა შემოღებული, ამ კლასების თანდათანობით ქართულ ენაზე სწავლების გადაყვანით. მანამდე აფხაზურ სკოლებში სწავლება V კლასამდე აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა. V კლასიდან კი ყველა საგანი ისწავლებოდა რუსულ ენაზე. რაც დიდ სიძნელეებს იწვევდა რუსული ენის სწავლებაში.

აფხაზური სკოლების რეორგანიზაციას საფუძვლად დაედო პედაგოგიური ინტელიგენციის წარმომადგენელთა (ა. მარღანია, ბ. კაცია, ნ. გერია, ს. აშვანბა და ი. ბჟავა) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში წარდგენილი წინადადებები, რომლის საფუძველზე შექმნილი კომისიის დასკვნაში ნათქვამია: „აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ ქართული ენის ცოდნა, ქართული და აფხაზური ენების ლექსიკური მსგავსება, ერთიანი ალფავიტი კარნახობს აუცილებლობას აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის“. საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში ამ წინადადებას დაემატა – მონათესავე ქართველი და აფხაზი ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის ერთობა („აფხაზეთის ისტორია“ – სოხუმი, 1991წ., გვ. 359-360). შემდგომ ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდნენ აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები.

1953-1954 წელს ხელმეორედ განხორციელდა აფხაზური სკოლების რეორგანიზაცია და სწავლება კვლავ თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდა. ამ დროიდან დაწყებით კლასებში სწავლება აფხაზურ ენაზე ხორციელდებოდა, ხოლო V კლასიდან ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა, აფხაზური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა როგორც საგანი. ქართული ენა – რესპუბლიკის სახელმწიფო ენა აფხაზურ სკოლებში არ ისწავლებოდა.

ფაქტობრივად, აფხაზი ბავშვები რუსულ ენაზე იღებდნენ განათლებას. ისინი მოწყვეტილ იქნენ ქართული გარემოსაგან, არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესწავლათ ქართული ლიტერატურა, აქედან გამომდინარე – ქართული კულტურა. ქართველი მწერლების აფხაზურად ნათარგმნი ცალკეული ნაწარმოებები გარკვეული დოზით აფხაზური სკოლების სხვადასხვა კლასებში კი ისწავლებოდა, მაგრამ ბუნებრივია, ეს ვერ მისცემდა მოსწავლეებს სრულყოფილ ცოდნას მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაზე, რამაც ერთმანეთს დააშორა, გააუცხოვა ქართველი და აფხაზი ხალხები, რის წინააღმდეგაც იბრძოდა გიორგი შერვაშიძე – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი.

რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ არა მარტო გათიშა ქართველები და აფხაზები, არამედ მიაღწია იმასაც, რომ პერიოდულად ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ეს ორი მონათესავე ხალხი.

1958 წლის 24 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი – „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. შესაბამისი კანონი მიიღო აგრეთვე 1959 წლის 18 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ. ამ კანონების შესაბამისად, განხორციელდა საშუალო სკოლების უფროსი კლასების საწარმოო სწავლებაში ჩაბმა, ექვსდღიანი სასწავლო კვირა ოთხ დღემდე შემცირდა, კვირაში ორი დღე საწარმოო სწავლებას გამოეყო. ამან ზომაზე მეტად გადატვირთა პროგრამები და სახელმძღვანელოები. გაითვალისწინეს რა ეს განათლების ორგანოებმა, 1964-1965 წლებში, საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილი კვირის ორი დღე შემცირებულ იქნა ერთ დღემდე, შრომით სწავლებაში შემცირდა კვირეული დატვირთვა ერთ საათამდე, ხოლო IX-X კლასებში, ნაცვლად საწარმოო სწავლებისა, შემოიღეს წარმოების საფუძვლების სწავლება.

1957-58 სასწავლო წელს აფხაზეთში მუშაობდა 105 საშუალო, 132 შვიდწლიანი და 199 დაწყებითი სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 64 ათასს. ამავე პერიოდში განხორციელდა 7-წლიანიდან 8-წლიან საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა.

1972 წლის 22 ივნისს საკავშირო მთავრობამ მიიღო დადგენილება „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ“. მოხდა ცვლილებები სკოლების ქსელში, 57 ერთეულით გაიზარდა საშუალო სკოლების რიცხვი. ამ დროისთვის, აფხაზეთში 462 სკოლა იყო 108 ათასზე მეტი მოსწავლით, აქედან საშუალო სკოლა – 162, რვაწლიანი – 117, დაწყებითი – 159, ინტერნატი – 8, საგრძნობლად გაიზარდა საღამოს ცვლის სკოლების რაოდენობა – მუშა-ახალგაზრდობის სკოლები იყო 35, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა 8750 მასწავლებელი. ამ პერიოდისათვის 96 აფხაზური სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც 20 ათასამდე ბავშვი სწავლობდა. ამ სკოლებში I-IV კლასებში სწავლება აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა, V-X კლასებში აფხაზური ენა ისწავლებოდა როგორც საგანი, დანარჩენი საგნების სწავლება კი რუსულ ენაზე ხორციელდებოდა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული გახანგრძლივებული დღის სკოლების ქსელის გაფართოებისათვის. 1987 წლისათვის ამ ტიპის სასწავლებლებით სარგებლობდა 15782 ბავშვი.

აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი. ათასამდე მოსწავლე სარგებლობდა უფასო და შეღავათიანი კვებით.

1980-1981 სასწავლო წლიდან საქართველოში მთლიანად და მათ შორის აფხაზეთშიც ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სწავლების სემესტრულ სისტემაზე გადავიდა. საფუძველი ჩაეყარა ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადაყვანას და 6 წლის ასაკიდან ბავშვთა სწავლების შემოღებას.

სასწავლო პროცესის სტრუქტურაში ორგანიზაციული ხასიათის ასეთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ცხოვრებით ნაკარნახევმა გარემოებებმა განაპირობა და საყოველთაო მხარდაჭერა მოიპოვა, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მოსწავლეთა და მშობლების მხრიდან.

ვახტანგ გასვიანი
აფხაზეთის განათლების მინისტრის
პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

დასასრული შემდეგ ნომერში

ჩემი წინაპრები

რევაზ ინანიშვილის „ანდერძის“ წაკითხვის შემდეგ

ამ ბავშვებს წინა კლასებში ქართულს სხვა მასწავლებელი – ქალბატონი ხათუნა კაშია ასწავლიდა. სწორედ მან ასწავლა მათ წერა და აზროვნება. მე მხოლოდ, ასე ვთქვათ, მის მიერ დათესილის „ნაყოფს ვიმკი“.

აწმყოზე გულგატეხილი, მოსწავლეთა ნაწერებში ვპოულობ შვებას, მათი სულის ლაბირინთებში ვიხედები თითქოსდა ვეცნობი თითოეული მათგანის სანუკვარ ოცნებას.

ხშირად უხდებათ ხოლმე თავისუფალ თემებზე მუშაობა. საბედნიეროდ, ვახტანგ როდონაიასა და მისი ჯგუფის მიერ შედგენილი IX კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო ამის საშუალებას იძლევა. რევაზ ინანიშვილის „ანდერძის“ წაკითხვის შემდეგ ვთხოვე მათ, თავიანთი წინაპრების შესახებ ეამბნათ.

რატომღაც მომინდა, მათი მონაყოლი თქვენთვისაც წარმომედგინა. არაფერი განსაკუთრებული და დიადი ამ ნაწერებში არ არის. მათი დამწერნიც ჩვეულებრივი ბავშვები არიან: ზოგჯერ ანცნი და მოუთოკავნი, ზოგჯერ კი – ზედმეტად მგრძნობიარენი. ისინი ჩვენი მომავალია და მჯერა, ვინც წინაპრებს ასე აფასებს, უცილობლივ ქვეყანასაც გამოადგება.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან
არის იმედი მომავალისა“.

აზა ძადარია
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,
სკოლა-ლიცეუმი „თამარიონი“

მისაბაძი ადამიანი

ყოველი ადამიანი განსხვავებულია. თითოეულს აქვს თა-

სალომე ღუდუმიძე. IX კლასი

ვისი კარგი ან ცუდი მხარეები, ის, რაც გამოარჩევს მას სხვებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანის ცხოვრების გზა განსხვავებულია, ჩვენ, მოკვდავ არსებებს, ხშირად ადამიანთა გამორჩევა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით გვახასიათებს და ვცდილობთ, მივბაძოთ მათ და ვიცხოვროთ მათსავით, რადგან ასეთ ადამიანებს ეტალონებად მივიჩნევთ.

მე ხშირად მიფიქრია ამის შესახებ. ზოგადად, არ მაქვს სურვილი მივბაძო ვინმეს, მაგრამ მაინც? ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ადამიანია დედა. ის ყველაზე გამორჩეულია მათ შორის, ვისაც ვიცნობ. მე ჯერ არ მინახავს მასზე უფრო მიზანსწრაფული ადამიანი, რომელიც ამდენს შეძლებდა ასე მცირე დროში. მან შეძლო, ყოფილიყო როგორც სამაგალითო მშობელი, ასევე წარმატებული ქალიც. ხშირად აღტაცებაში მოვყავარ მის შრომისმოყვარეობას. თუმცა განსაკუთრებით მომწონს დედას გამორჩეული ხასიათი. დარწმუნებული ვარ, რომ ის განსხვავებულია ყველა მშობლისგან, რადგან აქვს ქალისთვის არადამახასიათებელი სიმამაცე და სიმტკიცე. ყველაზე უფრო მძიმე მომენტშიც კი ის ერთადერთია სახლში, ვისაც ძალუძს, შეინარჩუნოს სიმშვიდე და არავის უჩვენოს სუსტი მხარეები. ყველა ამ თვისებათა გამო, ის ჩემთვის მისაბაძი ადამიანია და ბედნიერი ვარ, რომ გვერდით მიდგას მუდამ.

სახელოვანი წინაპრები

ჩემს წინაპრებზე ბებიაჩემისგან ბევრი ვიცი. მამაჩემის დედა გვარად გიორგობიანი ყოფილა. ჯერ მის მხარეს დავახასიათებ.

ბებიის მამა, ამბროსი გიორგობიანი, ცნობილი ექიმი იყო ძველ თბილისში. ჩემთვის ის მისაბაძი პიროვნებაა. ბებიაჩემი დღესაც ხმარობს მამამისის გამოთქმებს. მე ეს ძალიან მსიამოვნებს. ამბროსი ნამდვილი არისტოკრატი იყო. თუ გაინტერესებთ, როგორი სულის პატრონი იყო ის, ალბათ, უნდა შეადაროთ ფილმ „უძინართა მზის“ მთავარი გმირის – ბიჭის მამას, ექიმს. მართლაც, მრავალ მსგავსებას აღმოაჩენთ თურმე. ბაბუას დასაფლავებაზე ქალაქი გადაკეტილა, პაციენტს, რომელსაც მკურნალობდა, თურმე გულმა უმტყუნა კიდეც.

დახვეწილი, ზრდილობიანი, კეთილი, ტანად ჩემსავით მაღალი და ფართობეჭიანი ყოფილა. სურათზე მკაცრი ჩანს, მაგრამ თურმე მასზე შემწყნარებელი და ნაზი კაცი არ არსებობდა.

ამბროსის ცხოვრება ძალზე საინტერესოა, სავსე კეთილი საქმეებით. თუმცა მე გავიხსენებ მხოლოდ ერთ ეპიზოდს (რომელიც, რა თქმა უნდა, მონაყოლიდან ვიცი). ერთხელ თურმე გზად მათხოვარი შეხვედრია, დაბრუნებულა სახლში, რაც ჰქონდა ოჯახს, ის ფული წამოუღია და მიუცია მისთვის. იმდენი ფული ყოფილა, რომ მათხოვარი შიშით გაქცეულა. უძახნია ამბროსს მისთვის, უძახნია, მაგრამ გაგიგონიათ, არ მობრუნებულა. არ დავივიწყოთ, რომ ის სამამულო ომშიც ღირსეულად იბრძოდა.

ახლა გავიხსენებ ამბროსის ძმას, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა. ბებიისგან როგორც ვიცი, ის მილიარდერი ყოფილა. ხალიჩების ბიზნესი ჰქონდა თურმე. 1944 წელს საფრანგეთის აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას და მეგობრობდა შარლ დე გოლთან.

როგორც ბებიაჩემი ამბობს, ამქვეყნად არ ყოფილა ისეთი ადამიანი, როგორიც დედამისი ანგელინა (ჩიტო) მამალაძე გახლდათ. ბევრისგან გამიგონია, ისე წავიდა ამქვეყნიდან ცუდი არავიზე არაფერი უთქვამს. ერთხელ ჩიტოს მეგობარს ბებიაჩემისთვის უთქვამს: მასთან თავისუფლად ვერ ვიყავით, რადგან როცა ვინმეზე ვჭორაობდით, გვაჩერებდაო. ისიც გამოჩენილი ექიმი იყო და ფულს არასოდეს ართმევდა ხალხს. ერთხელ თურმე სახლში მისულს ჯიბეში ფული უპოვნია.

– „ამბროსი! მომართე მანქანა!“ – უთქვამს და შუაღამისას ქალაქის მეორე ბოლოში გასულა. მისთვის ლექსიც მიუძღვნიათ. ძალიან გულუბრყვილო ყოფილა და ბებიაჩემიც მას ჰგავს. თურმე ბებიაჩემის პაპა ვლასი, რომელიც ციმბირში გადაასახლეს, წიგნებს თარგმნიდა. მეორე დიდი ბაბუა კი უცხოს დახმარებია და მძარცველს მოუკლავს.

უფრო შორს რომ წავიდეთ, ბევრ რამეს გავიგებთ, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ერთი სული მაქვს, ბებიაზე გესაუბროთ.

ბებიაჩემი, გულიკო გიორგობიანი, ჩემთვის ადამიანობის იდეალია. ჩემი მიზანია, მისი ღირსეული მემკვიდრე ვიყო. ის საუბრობს ოთხ ენაზე, პროფესიით ფილოლოგია, კორნელი კეკელიძის ბოლო ასპირანტი, უნივერსიტეტში რუსული ენის კათედრის გამგეც იყო. ბებიაჩემს ბევრჯერ უთქვამს: მამაჩემმა ასეთ მდგომარეობაში რომ მნახოს, გული მეორედ გაუსკდებათო. მაგრამ ამის მიუხედავად, დიღომში არ არსებობს უსახლკარო ან ლოთი, ვისაც გულიკო არ დახმარებია, მისი დევიზია: „დაეხმარე გაჭირვებულებს“ – თვითონაც არა აქვს რა, მაგრამ მაინც გასცემს ყველაფერს. მისთვის მთავარი სულიერებაა და არა გარეგანი სილამაზე და სიმდიდრე. ამიტომაცაა, რომ უამრავ ადამიანს უყვარს და ბავშვებისთვის ხომ უსაყვარლესი პიროვნებაა. ის ასევე სპორტსმენია, სამოც წელსაა გადაცილებული და დღეში 3 კილომეტრს დარბის.

არ არსებობს ადამიანი, ვისაც ის არ იცნობს. მისი საუკეთესო მეგობარია გურამ გეგეშიძე, იცნობდა ნოდარ დუმბაძეს, ანა კალანდაძეს, რევაზ ინანიშვილს, მოკლედ, ვისზეც არ უნდა ჰკითხო, ყველას იცნობს, თან ყველაზე ისეთ ამაღლებულ რამეებს მიყვება, რომ სუნთქვისაც კი მეშინია.



ლაზარე გიუნაშვილი. IX კლასი

მეორე ბებია ყველაზე ზრდილობიანია, დახვეწილია იმათ შორის, ვინც მინახავს, მისგან ვსწავლობ ბევრ რამეს და ჩემთვის ისიც მისაბაძი მაგალითია.

ყველაზე სასახელო მყავს პაპა – ელგუჯა გიუნაშვილი. ის თავის ასაკში ერთადერთია თავისი პროფესიისა. მეცნიერებისგან გვესმის მასზე ნათქვამი: ხელისგულზე უნდა ვატაროთ ეს კაციო. მან და მეცნიერმა ზურა სარჯველაძემ დაამუშავეს უამრავი წიგნი.

მისი გაშიფრულია (ძველ ქართულიდან „გადათარგმნილი“) სინური ოთხთავი, ოდიშის ოთხთავი, „შუშანიკის ნამება“, ლუკას და მათეს სახარება და სხვა მრავალი. ის მუშაობს ხელნაწერთა ინსტიტუტში. ახლახან ზურაბ კალანდაძემ გამოუშვა წიგნი: „ენა, მამული, სარწმუნოება“, სადაც შეტანილია პაპაჩემის დამუშავებული იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“. მისი გამოშვებულია უამრავი ბიბლიური წიგნი.

მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით და ვცდილობ, ისეთი ვიყო, როგორნიც ისინი იყვნენ და არიან.

ლაზარე გიუნაშვილი
IX კლასი

ჩემი წინაპრები

ჩემი გვარი, ჩიხრაძე, სულ რაღაც ოთხი საუკუნეა არსებობს. პირველი ჩიხრაძე ყოფილა დავითი, რომელსაც ეს გვარი სოფლის სახელის გამო მიუღია, სოფელს თურმე ჩიხი ერ-

გიორგი ჩიხრაძე. IX კლასი

ქვა. შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენი გვარის წარმომადგენლები ჩიხიდან სოფელ ველევში გადასულან. დღესდღეობით სოფელ ველევის ორი მესამედი ჩიხრაძეა.

გვარის შექმნის დღედ 15 აპრილი ითვლება, ამიტომაც ამ დღეს მთელი ჩიხრაძეები იკრიბებიან და აღნიშნავენ ამ დღესასწაულს.

XVIII საუკუნეში ჩვენს საგვარეულოს დაუწყია ეკლესიის მშენებლობა, რომელიც ახლაც არსებობს, სამწუხაროდ, შუა ტყეშია და მის სანახავად თორმეტი კილომეტრის გავლაა საჭირო. კომუნისტების დროს, როდესაც ქრისტიანულ რელიგიას დევნიდნენ, მათ ამ ეკლესიაზეც მიუწვდათ ხელი და საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს: გაძარცვეს და იავარქმნეს. ამჟამად მიმდინარეობს ეკლესიის რეაბილიტაცია. იმედი მაქვს უახლოეს მომავალში იქ კვლავ ჩატარდება წირვა-ლოცვები.

ბევრი გამოჩენილი ადამიანი ჩემი გვარიდან, განსაკუთრებით დიდი პატივისცემით იხსენებენ ბაბუას, ივანეს. ის ამაყი და კეთილი კაცი ყოფილა. ვფიქრობ, რომ მისი ხსოვნა ბევრ რამეს მავალდებულებს და ყველანაირად ვეცდები, არასდროს შევარცხვინო მისი სახელი.

ბოლოს კი მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ მე ვამაყობ ჩემი გვარით!

გიორგი ჩიხრაძე.
IX კლასი

პრეზენტაცია

2 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პოეტ ირაკლი კაკაბაძის პირველი წიგნის „წერილები და მავთულხლართები“ წარდგინება და მისი მეუღლის, ფოტოხელოვან ნაილი ვეძილის საქართველოში პირველი პერსონალური ფოტოგამოფენა „გურჯისტანი“ მოეწყო.

ირაკლი კაკაბაძე: ეს ჩემი პირველი პოეტური კრებულია, რომელშიც შესულია ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი 50-მდე თავისუფალი სტილის ლექსი, ძირითადად, სოციალურ თემატიკაზე დაწერილი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც დამეხმარნენ კრებულის გამოცემაში. პირველ რიგში, „კავკასიური სახლის“ დირექტორს, ქალბატონ ნაირა გელაშვილს, წიგნის რედაქტორს გიორგი ლობჟანიძეს და სხვ. რაც შეეხება დღევანდელ ფოტოგამოფენას, ჩემი მეუღლე ნაილი აზერბაიჯანელი ფოტოხელოვანია. ფოტოებში, რომლებსაც ჩანაწერებიც ახლავს, გადმოცემულია საქართველოში სამწლიანი ცხოვრების შთაბეჭდილება. ფოტოებს მისივე ჩანაწერები ახლავს თან. ჩვენ გადავწყვიტეთ ერთად მოგვეწყო გამოფენა და წიგნის წარდგინება საზოგადოებისთვის. თემატიკა მეც და ნაილისაც სოციალურ თემაზე გვაქვს, ხშირად მწვავეც. ნაილისთვის საქართველოში პირველი პერსონალური გამოფენაა, ჯგუფურ გამოფენაში ბევრჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული.

გიორგი ლობჟანიძე, წიგნის რედაქტორი: მძონდა პატივი, ვყოფილიყავი ირაკლი კაკაბაძის კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი. ჩემთვის თითოეული ლექსი ძალიან ახლობელია, ძალიან მიყვარს ირაკლის პოეზია, თუნდაც იმიტომ, რომ თაობისთვის დამახასიათებელი საკითხების გადმოცემას შესანიშნავად ახერხებს.

დმანისი, სოფელი ერგანჩაი. ეს ფოტო ზღაპრის ილუსტრაციას ჰგავს, ბავშვები კი ზღაპრის გმირებს. თუმცა ისინი სულაც არ ცხოვრობენ ზღაპარში... ისინი უმძიმეს სოციალურ და კულტურულ იზოლაციაში იზრდებიან.

შეყვარებული ფანჯრები, რომლებიც ნეფე-დედოფალივით თეთრ ფარდებში გამოწყობილან... გასაფრთხილებელია ძველი თბილისი, ასეთ არქიტექტურულ ნიუანსებში ჩანს ქალაქის ხასიათი.

ძალიან უყვართ ქართველებს შავი სამოსი. ალბათ, ბოლო წლების ომებს უკავშირდება ამდენი შავი. ამ ქალბატონის სახეზეც და მზერაშიც ახლო წარსულის ისტორიაა არეკლილი...



მთაწმინდა. მათ უკვე გამოსდით თავი დააღწიონ უფროსებსა და მათ სიმკაცრეს. რა კარგია, თამაშისთვის და მეგობრებთან ყოფნისთვის უამრავი შიშის დაძლევა რომ შეგიძლია...



თბილისი. დედაქალაქში ცხოვრობს, ხოლო მთელი არსებით – ფიქრით, ოცნებითა და მოგონებებით სოხუმშია. კეთილი ნათესავების მადლიერია, რომ შეიფარეს. მაგრამ მარტოობას ვერ ეგუება. სოხუმში უნდა რომ დაიმარხოს, სხვა არაფერზე აღარ ოცნებობს...

კახეთი, წინანდალი. გიორგი ლობჟანიძის პოეზიის საღამო. ლილიკო ლობჟანიძე და ალექსანდრე კაკაბაძე. ისინი ქართველი პოეტების შვილები არიან... გიორგი, ჩემი აზრით, საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა.

კახეთი. გოგონა ტაძართან მოწყალებას თხოულობდა, თან მეცადინეობდა. საქართველოში არიან ბავშვები, რომელთაც საშუალება არ აქვთ, განათლება მიიღონ...

თბილისში და ბაქოში, სტამბულისგან განსხვავებით, ძალიან ცოტა თოლია ცხოვრობს. თან, აქ უფრო მშვიდი და ჩუმები არიან. თბილისში და ბაქოში ძალიან ბევრი ყვავია.

მოამზადა მაკა ყიფშიანმა

რეგიონი

მუსიკა, რომელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა

მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში, გაიმართა სულხან ცინცაძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ბუკლეტის პრეზენტაცია და კამერული მუსიკის საღამო, ხოლო 12 ნოემბერს, დიდ საკონცერტო დარბაზში, სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სიმებიანი კვარტეტის (კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიას და ოთარ ბუბინიშვილის) კონცერტი.

გენიალური კომპოზიტორის და საზოგადო მოღვაწის – სულხან ცინცაძის საიუბილეო თარიღს სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლაც გამოეხმაურა და პირველ დეკემბერს მოკრძალებული საღამო მიუძღვნეს კომპოზიტორის იუბილეს. ღონისძიების სულისჩამდგმელი თავად სკოლის დირექტორი **ლალი მენთეშაშვილი** გახლდათ, მან ვრცელი მასალა მოიძია კომპოზიტორის შემოქმედებაზე და მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ბატონი სულხანი 1965-1984 წლებში კონსერვატორიის რექტორი გახლდათ, ხოლო შემდეგ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ეს იყო ოქროს ხანის საკომპოზიტორო სკოლა – რევაზ ლაღიძე, გოგი ცაბაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ალექსი მაჭავარიანი... მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ, რომელთა მუსიკა დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

ქალბატონმა ლალიმ დამსწრეთ გააცნო საიუბილეო ბუკლეტიდან სულხან ცინცაძის ახლო მეგობრების მოგონებები, მანვე ისაუბრა მუსიკის დანიშნულებაზე, რომ იგი სიკეთეს ემსახურება, დღეს ძალიან გახშირდა აგრესია მოზარდებს შორის, მუსიკასთან ნაზიარები ბავშვები გაცილებით კარგი ადამიანები გაიზრდებიან, ჩვენი მისიაც სწორედ ის გახლავთ, რომ უფრო ახლოს გავაცნოთ ბავშვებს სულხან ცინცაძის გენიალური შემოქმედება, არადა ჩვენი თაობა სწორედ მის სიმღერებზეა აღზრდილი.

შემდეგ მაყურებლებს IX, X და XI კლასის მოსწავლეებმა შესთავაზეს სულხან ცინცაძის შემოქმედების მიხედვით მომზადებული კონცერტი.

ჟანა თითილოკაშვილმა (Xბ კლასი), **ნათია ალადაშვილმა** (XIბ კლასი), **ნინო** და **იმედა ხაჩიაშვილებმა** (IXბ კლასი) შეასრულეს სიმღერები ქართული მხატვრული კინოფილმებიდან: „აბეზარა“, „მაია წყნეთელი“, „ბაში-აჩუკი“. უფროსკლასელებს ტოლს არ უდებდნენ პირველკლასელი **ლიკა გიგოლაშვილი** და მეორეკლასელი **ქეთინო ხიხაძე**, რომელთა დებიუტი შედგა პოპულარული სიმღერით „აბა, დელი, დელი, დელი, დელა“ კინოფილმიდან „ჭრიჭინა“. მოსწავლეებს მუსიკალურ აკომპანემენტს უწევდნენ პედაგოგები: **ლალი ფიროსმანიშვილი, ირინა ალუღიშვილი** და **ლია ხატიაშვილი**.

საიუბილეო საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ქართული მხატვრული კინოფილმებიდან: „ოთარაანთ ქვრივი“, „ჯარისკაცის მამა“ და „ღიმილის ბიჭები“, რომლებსაც სულხან ცინცაძის მუსიკა ამშვენებდა.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები, რომელთაც უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიიღეს.

ცოდნა სიმდიდრეა

სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლალი მენთეშაშვილი**) VIIბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელის **ლია ხატიაშვილის** მხარდაჭერით, საინტერესო პროექტით – „ცოდნა სიმდიდრეა“ წარდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე. მთელი წარმოდგენა სწავლა-განათლების ურთულესი პროცესის ახსნას და პედაგოგის რთულ მისიას მიეძღვნა. ამ მიზნით, ბავშვებმა გააცოცხლეს კადრები ქართული კინოფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, გაიხსენეს „კაცია მუნჯაძის“ ტრაგიკული ბედი, წარმოადგინეს ჯოკონდა მასწავლებლის სახე. ბოლოს დაასკვნეს, რომ ცოდნა სიმდიდრეა, კაცი თავის თავის მარგეც უნდა იყოს და სხვისიც. ცოდნის აკვანი კი სკოლაში უნდა დაირწეს. მილოცვებში, ლექსებში, სიმღერებსა და სკეტჩებში წარმოჩინდა მოსწავლეების ფაქიზი და გააზრებული დამოკიდებულება ცოდნის მიმართ, ლოგიკური იყო მათი სიტყვიერი გამოსვლის დასკვნითი ნაწილიც: „აკვანი დაარწიეთ არა დასაძინებლად, არამედ გასაღვიძებლად და გასაზრდელად“.

ბოლოს მოსწავლეებმა თავიანთი შეთხზული ლექსები უძღვნეს საყვარელ პედაგოგებს. **დათო ყოჩიაშვილმა** თანაკლასელების სახელით მადლობა გადაუხადა კლასის ხელმძღვანელს **ლია ხატიაშვილს** და ყველა საგნის მასწავლებლებს მათზე გაწეული ამაგისათვის.

წარმოდგენას პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად ესწრებოდნენ მასმედიის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტები – **ანა ბენაშვილი** და **ლალი მანგოშვილი**, მათ მადლიერება გამოხატეს ამ ღონისძიებაზე სპეციალური მოწვევისათვის და თითოეულ მოსწავლეს წარმატებები უსურვეს სწავლაში.

შემოდგომა ტყეში

შემოდგომის ფერებით მორთულ დარბაზში ნამდვილი ტყის ფონი, შიგ ჩადგმული პატარა ქოხით, ციყვებითა და თხილ-კაკლით თავიდანვე ქმნიდა განწყობას, რომ წინ საინტერესო ღონისძიება ელოდა აქ შეკრებილ უამრავ სტუმარს. მასპინძლები დედოფლისწყაროს ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები მართლაც მრავალმხრივი პროგრამით წარდგნენ მაყურებლის წინაშე. ბავშვები მთელი მონდომებით უმღეროდნენ და ლექსებს უძღვნიდნენ ლამაზ და ბარაქიან შემოდგომას, ლექსსა და სიმღერას ეროვნული და თანამედროვე ცეკვები ენაცვლებოდა და მსმენელის გულწრფელ ოვაციებს იმსახურებდა.

ღონისძიების ფინალი გახლდათ პირველკლასელების მიერ სპეციალურად მომზადებული სცენარი „შემოდგომა ტყეში“. შესაფერის ფორმებში გამოწყობილმა კურდღელმა – **ჯუბა რამაზანაშვილმა**, დათუნიამ – **ირაკლი რამაზაშვილმა**, ზღარბმა – **დათო დოლაშვილმა**, სოკომ – **ნონა გონაშვილმა** და ტყის მცველმა **გიორგი ხუცურაულმა** „საზეიმო სუფრა“ გაშალეს, თავადაც ლაზათიანად მოილხინეს და მაყურებელიც აიყოლიეს. ბოლოს **ნიკა ლეკიშვილმა** ახალგავლებული ჩურჩხელები დაურიგა ღონისძიების ყველა მონაწილეს და თათარაზე მიიწვია სტუმრები...

სკოლის დირექტორმა, აკადემიურმა დოქტორმა **ცაცა ბენაშვილმა** მადლობა გადაუხადა პედაგოგებს: **მაგული გონაშვილს, ნანა ზურაშვილს** და **თეა რუხაძეს** ლამაზი და შინაარსიანი ღონისძიების მოწყობისათვის.

მარიკა პოპიაშვილი

ინფორმაცია

ახალგაზრდები კანონის უზენაესობისთვის

2010 წლის 3 დეკემბერს, თბილისის 89-ე საჯარო სკოლაში, პროექტის „ახალგაზრდები კანონის უზენაესობისთვის“ ფარგლებში, ჩატარდა პრეზენტაცია საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შესახებ. პროექტი ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით. პრეზენტაციას ხელმძღვანელობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები: **ზაზა დათუკიშვილი, ალექსანდრე კვიჟინაძე** და **ნიკოლოზ ჩომახიძე**. 89-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნანა სოლოღაშვილი**) გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ X-XI კლასების მოსწავლეები და სკოლის პედაგოგები. პრეზენტაციაზე სრულყოფილად იქნა განხილული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიზნები, ამოცანები და სამომავლო გეგმები. მოსწავლეებმა სრულყოფილი ინფორმაცია მიიღეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებები; არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენცია; დევნის/პატიმრობის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების ხელშეწყობა (განრიდება და მედიაცია); რეფორმა პენიტენციურ სისტემასა და პრობაციაში; საინფორმაციო/სტატისტიკური სისტემის განვითარება; პროფესიული ტრენინგი. განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული საქართველოში ახლად დანერგილ განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც არასრულწლოვნების სისხლისსამართლებრივი დევნისგან განრიდებას გულისხმობს ძალაში 2010 წლის 15 ნოემბრიდან შევიდა. მოსწავლეებმა სრულყოფილი ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებ, თუ რას ითვალისწინებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნისგან განრიდება და მედიაცია, ვის უფლებამოსილებას წარმოადგენს და რა პროცედურებს მოიცავს. პრეზენტაციაზე განხილულმა საკითხებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებში. თითოეული მათგანი საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული პრეზენტაციის მიმდინარეობაში, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ დასმულ შეკითხვებში. აუდიტორიაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამამ, ასევე, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის საკითხმა, მოსწავლეებს კონკრეტულად აინტერესებდათ, თუ რა ღონისძიებებს ატარებს სახელმწიფო მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა ღირსეული რესოციალიზაციისათვის. მსმენელების მიერ დასმულ კითხვებსა თუ წამოჭრილ თემებზე პრეზენტატორების მიერ გაცემულ იქნა სრულყოფილი, ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხები.

პრეზენტაციამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიიღეს ძალიან დიდი და სასარგებლო ინფორმაცია რაც აუცილებლად დაეხმარებათ მომავალში, როგორც პროფესიულ, ასევე ყოველდღიურ საქმიანობაში. პრეზენტაციაზე დამსწრე მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი, მომავალში უფრო ხშირად გაიმართოს სკოლებში მსგავსი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებას სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებისა და სამართლებრივი რეფორმების შესახებ.

ლალი გოგიჩაიშვილი
თბილისის №89 საჯარო სკოლის კოორდინატორი

◆◆◆

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის №6 და №7 საჯარო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები 6 მაისის სახელობის პარკში მიიპატიჟა. აქვე მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ნამუშევრების გამოფენა. თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებმა მათ გასართობი შოუ შესთავაზეს.

ბათუმის მერიის ხელშეწყობით ბავშვებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ პარკში არსებული გასართობი ატრაქციონებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

◆◆◆

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი **ირაკლი თოდუა**, მოადგილე **ბადრი ნიაური** და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი **გიორგი ქველაძე** ბაქოში აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო კონფერენციაზე იმყოფებოდნენ.

საგანმანათლებლო კონფერენცია „განათლებისა და ტექნოლოგიების როლი ეკონომიკურ წინსვლაში“ UNESO-სა და Microsoft-თან თანამშრომლობითა და ჰეიდარ ალიევის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა და მიზნად ისახავდა, დემოკრატიის ახლად განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მენეჯერების, გადაწყვეტილების მიმღები პირების და პოლიტიკის შემქმნელების ერთად შეკრებასა და საკუთარი ცოდნის/გამოცდილების გაზიარებას განათლებისა და ტექნოლოგიების საკითხებში.

კონფერენცია ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში სპეციალიზებული სემინარი ელიტარულ გიმნაზიასა და უნივერსიტეტში ჩატარდა.

რეგიონული სამიტის მეორე ნაწილი სრულად დაეთმო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლს საგანმანათლებლო სტრატეგიაში.

სპორტი

ევროპული ფესტივალი თბილისში

2015 წელს თბილისი მოზარდთა ძალიან დიდ აღლუმს უმასპინძლებს – ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი დედაქალაქი ევროპელი ახალგაზრდების კულტურულ-სპორტულ ცენტრად იქცევა – წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 20 ათასამდე სტუმარი გვეწვევა. ცხადია, მათი უმრავლესობა მოზარდი იქნება – 14-დან 17 წლამდე.

ქართული სპორტისთვის ეს ისტორიული გადაწყვეტილება ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გენერალურმა ასამბლეამ 27 ნოემბერს მიიღო ბელგრადში, სადაც თბილისს ერთადერთი კონკურენტი ჰყავდა – ჩეხური ბრნო. ფარული კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ თბილისმა ხუთი ხმით აჯობა კონკურენტს – 26:21. აღსანიშნავია, რომ ეს ჩვენი ქალაქისთვის ასეთ სოლიდურ კამპანიაში მონაწილეობის პირველი ცდა იყო, ბრნომ კი ზედიზედ მესამედ წააგო არჩევნები. ისიც საინტერესოა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგიური ღონისძიება პირველად გაიმართება, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონმა კი მხოლოდ ერთხელ უმასპინძლა – 2007 წელს იმავე ბელგრადმა, 2011-ში კი მეზობელ ტრაბზონში ჩატარდება.

აქედანაც კარგად ჩანს, ანალოგიური ფესტივალის მასპინძლობას რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ჩვენთვის ამ ფაქტის სპორტული მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება – საქართველო ხომ სერიოზულად გაუმჯობესებულ სპორტულ ინფრასტრუქტურას მიიღებს, ვინაიდან ფესტივალის სათანადოდ ჩასატარებლად ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზები უნდა აშენდეს. მათი ნაწილი უკვე მზადაა და მხოლოდ მცირეოდენი რეორგანიზაცია დასჭირდება, სხვები კი უახლოეს წლებში უნდა გაკეთდეს. ფესტივალი ქვეყანას კიდევ ერთ სარგებელს მოუტანს – აშშ-ს საელჩოს მიმდებარედ ოლიმპიური სოფელი უნდა აშენდეს, რომელიც თამაშების შემდეგ სტუდენტურ ქალაქად გადაკეთდება. ამდენად, ფესტივალით თბილისს სტუდქალაქიც შეემატება. ეს იმდენად მასშტაბური ღონისძიებაა, ამიერიდან საქართველოს გზა ხსნილი აქვს უმაღლესი რანგის სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობისკენ, მაგალითად, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისკენ. საქართველო თანდათან ცდილობს ევროპის სპორტულ ოჯახში ჩაბმას და შარშან ძიუდოში კონტინენტის პირველობასაც უმასპინძლა, მაგრამ დიდი შეჯიბრებების გამართვის უფლება არაა ასე იოლად მოსაპოვებელი. ამიერიდან, ამ ფესტივალის ჩატარების შემდეგ, აღარ დაისმება კითხვა, შევძლებთ კი ამა თუ იმ დიდი ტურნირის ღირსეულად ჩატარებას? გავართმევთ თუ არა თავს საორგანიზაციო საკითხებს? ამ ძნელ გზაზე საქართველოს უკვე მწვანე შუქი ენთება.

სპორტულის გარდა, ძალზე დიდია ამ ფაქტის პოლიტიკური მნიშვნელობაც. ქართული სპორტის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ევროპის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რითაც მათ დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. დიდი სპორტული შეჯიბრებების არ იყოს, ამ ნაბიჯით საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზეც ეხსნება გზა დიდი სიმაღლეების – ევროკავშირის თუ სხვა რეგიონული გაერთიანებებისკენ. მაგალითად, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** ამბობს, რომ ამას დროთა განმავლობაში აუცილებლად მოჰყვება მსგავსი გარღვევა სხვა სფეროებში, რაც საბოლოოდ ევროკავშირში თუ სხვა სტრუქტურებში შესვლით დამთავრდება. ცხადია, ეს დროში გაწელილი პროცესი იქნება, მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით და ეს კარგი დასაწყისია.

ერთი სიტყვით, ფესტივალი ძალიან სჭირდება საქართველოს, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ევროპაში ხელცარიელნი არც ჩვენ მივალთ – ევროპა აქ აღმოაჩენს მისთვის უცხო, დასავლურისა და აღმოსავლურის ნაზავ კულტურას, უფრო ახლოს გაიცნობს აქაურ ენდემურ ბუნებას, უძველეს ხელოვნებას... სხვა თუ არაფერი, საქართველოში უძველეს ადამიანთა ნაშთებია აღმოჩენილი. თანაც, საქართველოს შეუძლია ერთგვარი სამშვიდობო ხიდიც იყოს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ევროპასა და აზიას შორის...

მისასალმებელია, რომ ბავშვთა ფესტივალის მასპინძლობის მოპოვებაში და უფროსთა პოლიტიკურ ჭიდილში გადამწყვეტი როლი ბავშვებმა შეასრულეს. დედაქალაქის მერთან და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებთან, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და პოლიტიკოსებთან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად ბელგრადში, ევროპის ეოკ-თა ასამბლეაზე ქართული დელეგაციის შემადგენლობაში ასამბლ „კავკასიონის“ ბავშვები და ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ქართულ-ფრანგული სკოლის მოსწავლე **ანა ბარამიძე** შედიოდნენ. მოცეკვავე ბავშვებმა სცენაზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, დარბაზში ფურორი მოახდინეს, ევროპელებს სისხლი აუჩქროლეს და ლამის ცეკვაში აიყოლიეს. ვიცე-პრემიერ **გიორგი ბარამიძის** ქალიშვილმა ანა ბარამიძემ კი ფრანგულ ენაზე მიმართა ევროპელ თანატოლებს და საქართველოში სტუმრად მოიპატიჟა. პატარა გოგომ მოახერხა და ამ მიმართვაში ისეთი მუხტი ჩადო, თურმე დარბაზში ხალხი აატირა, მათ შორის, სახელოვანი ოლიმპიური ჩემპიონები – ჩვენი **დავით გობეჯიშვილი** და ასამბლეის მასპინძელი, სერბეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კალათბურთელი **ვლადე დივაცი**. სპორტსმენობის გარდა, დივაცი ადამიანობითაც გამორჩეული ფიგურაა – კოსოვოს ომის შედეგად დაობლებულ ბავშვს ზრდის და საკუთარი შვილებისგან არ გამოარჩევს. თურმე ამ უდიდესმა კალათბურთელმა ბარამიძის გამოსვლის შემდეგ პარალელი შვილობილთან გაავლო, ეს ორმეტრიანი ატირებული კაცი ანასთან მივიდა, მიეფერა და უთხრა, ჩემს ხმას პირადად შენ გაძლევო. ასე მოუპოვა პატარა ანამ თბილისს ერთი მხარდამჭერი.

საქართველომ ერთი სიურპრიზი უკვე შესთავაზა ევროპას – ცოცხლად შესრულებული საპრეზენტაციო პროგრამა. მასში „კავკასიონის“ ბავშვებთან ერთად დუეტი „ჯორჯიაც“ მონაწილეობდა **მაკა ზამბახიძისა** და **რატი დურგლიშვილის** შემადგენლობით, რომლებმაც საქართველოსთვის ჯერაც უცნობი ფესტივალის ჰიმნი შეასრულეს. იმ ცეკვის შემდეგ თურმე ევროპელებმა უთხრეს ჩვენებს, ამით კონკურენტი პირდაპირ მოკალითო. საერთოდ, ევროპელები ცოცხლად შესრულებულმა საპრეზენტაციო ნომრებმა მოხიბლა და თურმე ერთხმად აღნიშნეს მისი ორიგინალურობა.

ფესტივალის პროგრამაში სპორტის 9 სახეობა: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ძიუდო, ველოსპორტი, ცურვა, მძლეოსნობა და ჩოგბურთი. მაშ ასე – დაველოდოთ 2015 წელს და ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, როცა თბილისი ერთი კვირით ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცევა.

◆◆◆

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან, **დავით კერესელიძესთან** ერთად, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ახალ ხელოვნურსაფარიან მინი-ფეხბურთის მოედანზე გამართულ ფეხბურთის მატჩს დაესწრო. შეხვედრა ინგლისურენოვან პედაგოგებსა და ამერიკელ საზღვაო ქვეითებს შორის გაიმართა.

ღონისძიებას ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსული უცხოელი მოხალისე პედაგოგები დაესწრნენ.

თამაშში მონაწილე ორივე გუნდის მოთამაშეებს სამახსოვრო საჩუქრები და პრიზები გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა გადასცა.

გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი წარმატებული სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს სტუდენტების მოთხოვნილება შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მაღალხარისხიან განათლებაზე, ასევე უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების რეალიზებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და, ზოგადად, სპორტის განვითარებას.

პატარების კალათბურთში გამოცოცხლებაა

ამ დღეებში დაიწყო კალათბურთელთა ქვეყნის ასაკობრივი ჩემპიონატები. თავდაპირველად სტარტი 16-წლიანებმა აიღეს, რომელშიც წლეულს უჩვეულოდ ბევრი გუნდი მონაწილეობს – 18, რაც ამ გათამაშების ისტორიაში სარეკორდო რიცხვია. ასეთი პროგრესი პირდაპირ მანიშნებელია კალათბურთისადმი ინტერესის ზრდისა – კლუბების რაოდენობაც ამიტომ გაიზარდა. რაც ყველაზე სასიამოვნოა, მონაწილეთა შორის თბილისისა და რუსთავის კლუბების გარდა, რეგიონების გუნდებიც ბლომად გამოდიან – ქუთაისის, ბათუმის, თელავის, ფოთის და მარნეულის. განსაკუთრებული სიურპრიზიც სწორედ მარნეულელთა გამოჩენაა, სადაც კალათბურთი ახლა იწყებს აღორძინებას, თორემ დანარჩენებს დიდი ტრადიციები აქვთ, თუმცა გამოცდილებით ვერც ფოთელები დაიკვეხნიან. ისიც მისასალმებელია, რომ კლუბების დაფინანსება ბიზნეს-წრეებმაც დაიწყეს – „ჰიუნდაი“ და „ავერსი“ თავისი კლუბებით გამოვლენ. ასევე კარგი ფაქტია, რომ კალათბურთის პატრონობას კვლავაც აგრძელებენ წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები – თსსუ, სსაუ, აკადემია – ჩემპიონატში მათი კლუბებიც მონაწილეობენ.

ეს 18 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა, ფლეი ოფში კი 4-4 საუკეთესო გავა. ჩემპიონატის მასპინძლად ამჯერად „დინამოს“ ბაზა მოგვევლინება, ვინაიდან ძველ არენაზე – სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარბაზში – რემონტია. მისი დასრულების შემდეგ ჩემპიონატი იქ გადაინაცვლებს.

იგივე შეიძლება ითქვას 18-წლიანთა ქვეყნის პირველობაზეც, რომელმაც პარასკევს აიღო სტარტი. მასში უფრო ცოტა კლუბი გამოდის, მაგრამ რეგიონის წარმომადგენლები იქაც ბლომად არიან.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

გამოფენა

ირაკლი ფარჯიანი

ნაპოვნია „ესკიზი, ილუსტრაცია“

ლუკას სახარება. გამოცხადება

ლუკას სახარება. იესო და მოწაფეები

გამოფენა „ესკიზი, ილუსტრაცია“ ირაკლი ფარჯიანის შემოქმედების ყველაზე ვრცელ, ფარულ და ჩვენთვის უცნობ მონაკვეთს წარმოაჩენს. პირველად გამოიფინება ესკიზები სურათებისათვის. გამოფენა შესაძლებლობას მოგვცემს თვალი გავადევნოთ ირაკლი ფარჯიანის ცნობილი სურათებისა და სერიული ნამუშევრების შექმნის პროცესს.

როგორ იქმნებოდა სხვადასხვა სერიის სურათები, რელიგიური კომპოზიციები და ილუსტრაციები? აბსტრაქციების, ბერლინის ციკლის, რელიგიური სიუჟეტების – ადამ და ევას, ჯვარცმის, ხარების და სხვა კომპოზიციები? რა მოდიფიკაციას განიცდიდა ესკიზი ფინალურ ობიექტამდე – სურათამდე? ეს ყველფერი კარგად ჩანს გამოფენაზე წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ესკიზებში. სხვადასხვა წლებში შესრულებული შავთეთრი და ფერადი ჩანახატები ეტაპობრივად ასახავენ იდეის ტრანსფორმაციას – მის განხორციელებამდე. გამოფენა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რა გზით მიდიოდა მხატვარი საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

ეს, შუალედურ პროცესში შესრულებული ნამუშევრები, წარმოდგენილი ხან ცალკეული პერსონაჟის, ხან ლანდშაფტის, ხან რელიგიური სიუჟეტის სახით, თავისთავად ატარებენ მხატვრულობის ისეთ პოტენციას, რომ თითოეული მათგანი დასრულებული ობიექტის სახითაც შეიძლება აღვიქვათ.

ეს არ არის ესკიზი-ჩანახატი, ეს არის ესკიზი-სურათი, ყველა თავისი მხატვრული, გამომსახველობითი და ემოციური მახასიათებლებით. გარდა ამისა, მათ, თემის, კონცეფციისა და განწყობის პირველად დაფიქსირების უპირატესობაც გააჩნიათ. თანაც ესკიზებში მხატვარი არ ითვალისწინებს მომავალ მაყურებელს; ეს მისი, დახურული სამყაროა და ამ ნამუშევრებს მისთვის პრეზენტაციული დანიშნულება არ გააჩნიათ. უფრო ინტიმურია, ექსპერიმენტის, რისკის, აღმოჩენის და ზოგჯერ თამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ, შეიძლება ამ ყველაფერს „პირადი წერილების“ სტატუსი ჰქონდეს, რომლის ადრესატიც საბოლოო თვალსაზრისით – სურათია.

მხატვარი ესკიზებში „ამოწმებს“, გარდაქმნის თავის კონცეფციას, ემოციას, კომპოზიციურ არჩევანს. პირველად ეხება არჩეულ თემას. ამიტომ ამ ესკიზებში განსაკუთრებული გულწრფელობა და თავისუფლება იგრძნობა. იუმორის უფლებასაც კი აძლევს თავს. ანუ ქმნის ძირითადი „ტექსტის“, თავისი ნაწარმოებების პირველ „ჩანაწერებს“ – პერსონაჟების, ნიშანთა და ობიექტთა მთელი სისტემის სახით. ამიტომ ეს ესკიზები მხატვრის პირველი აღმოჩენების და მიგნებების მანიფესტაციაა.

პირველად აქ ჩნდებიან და სიცოცხლეს იწყებენ მისი პერსონაჟები, ფორმას იღებს ლანდშაფტი, წარმოიქმნება სახე – ობიექტების მთელი სისტემა: ნავების, მინერალების, აბსტრაქტული მოდელების სახით.

ამ ესკიზებში ხატვის პროცესის თავისუფლება ჩანს. მხატვარი თითქოს ფიქრის სისწრაფეს მიჰყვება ხელით. ფიგურების დინამიკა ფრინველის ფრენის მსგავსია. ნელი ფრენაა – დედამიწაზე. ფიგურები თითქოს გამჭვირვალეა, არამატერიალური, მანათობელი ფაქტურით არის შესრულებული და ამ საოცარ ეფექტს ძირითადად ფანქრით ქმნის. გრაფიკით მიღწეულია ფერწერის შთაბეჭდილება. და ეს პატარა, მანათობელი სურათები ემოციურადაც დიდი ნაწარმოებების მსგავს განწყობას ატარებენ. ანუ სწორედ მათშია თავმოყრილი ის ძირითადი ენერგია, რომელიც შემდგომში ირაკლი ფარჯიანის მთელ შემოქმედებას ასაზრდოებდა.

ბაია წიქორიძე
ბაია გალერეა



ილუსტრაციები საბავშვო ბიბლიიდან

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.